პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 26 იანვარი, 1947 წ. № 20 (7804). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შევხვდეთ არჩევნების დღეს—მოწინავე (1-ლი გვერდი).

ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების საკითხის გამო (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ოფიცერთა გაცვლის შესახებ ცნობის გამო (1-ლი გვერდი).

ლენინის საარჩევნო ოლქში (1-ლი გვერდი).

რ. ს. ზემლიაჩკას დაკრძალვა (მე-2 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები (მე-2 და მე-3 გვერდი).

ს. ჭილაია—მეტი პასუხისმგებლობით მოვეპყროთ საბჭოთა მწერლის სახელს (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შევხვდეთ არჩევნების დღეს

1947 წლის 9 თებერვალს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები თავიანთი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აირჩევენ ხალხის ერთგულ შვილებს—პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს, მრეწველობის, ტრანსპორტისა და საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებულ სტახანოველებს, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, პარტიული და საბჭოთა ორგანოების საუკეთესო ხელმძღვანელებს, იმათ, ვინც საქმით დაამტკიცა ლენინ-სტალინის პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულება, ვინც ენერგიულად იბრძვის ომისშემდგომი სიძნელეების სწრაფად დაძლევისათვის, მშრომელთა კულტურულ-მატერიალური დონის განუხრელი ამაღლებისათვის, მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დიდი ამოცანებია დასახული მრეწველობის წინაშე ხუთწლედის მეორე წელს. მრეწველობის თვითეულმა დარგმა მიმდინარე 1947 წელს მკვეთრად უნდა გაადიდოს პროდუქციის გამოშვება, გააუმჯობესოს მისი ხარისხი, შეამციროს თვითღირებულება, აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, გააფართოოს ასორტიმენტი, აითვისოს ახალი სახეების ნაწარმის დამზადება, გაადიდოს სახსრების დაგროვება — ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი წინსვლისა.

სერიოზული ამოცანებია დასახული ტრანსპორტის მუშაკთა წინაშე. რკინიგზელებმა უნდა უზრუნველჰყონ მრეწველობის შეუფერხებელი მომარაგება ნედლეულით, მზა პროდუქციის მიზიდვა მომხმარებლამდე, ახალი მშენებლობებისათვის საშენი მასალებისა და მოწყობილობის დროულად მიწოდება.

ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენი რესპუბლიკის ახალმშენებლობათა წინაშე დასმული ამოცანებიც. მიმდინარე წელს პირველი სამრეწველო დენი უნდა მოგვცენ ხრამისა და სოხუმის ჰიდროელსადგურებმა, პირველი პროდუქცია გამოუშვას ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, ამუშავდეს რუსთავის მეტალურგიული გიგანტის მრავალი დამხმარე საწარმო, თბილისის პლასტმასის ნაკეთობათა ქარხნის პირველი რიგი, საშენ მასალათა მრეწველობის მრავალი ახალი საწარმო, დაიწყოს მთელი რიგი მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქცია, მწყობრში ჩადგნენ ქვანახშირის მძლავრი შახტები.

ყველა ამ ამოცანის გადასაჭრელად ენერგიული ბრძოლაა გაჩაღებული. მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალი მშენებლობების მუშათა კოლექტივები ძალღონის დაუზოგავად იბრძვიან იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, მორიგი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნონ არჩევნების დღე—9 თებერვალი.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებმა 15 დღეში თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულეს ნახევარი თვის საწარმოო დავალებანი. იმ უბანმა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ტ. ფოფხაძე ხელმძღვანელობს, ნახევარი თვის გეგმა 125 პროცენტით გაანაღდა. კიდევ უფრო მაღალნაყოფიერად მუშაობენ ლენინის ორდენოსანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კ. ლავთაძე, ცნობილი სტახანოველები პ. მიროტაძე და ს. ოთინაშვილი, რომლებმაც ორ დეკადაში გაანაღდეს თვიური გეგმები.

უდიდესი შრომითი აღმავლობაა თბილისის კიროვის, 26 კომისრისა და კალინინის სახელობის ქარხნებში, ქუთაისის მიქოიანის სახელობის საკონსერვო და აგარის ბერიას სახელობის შაქრის ქარხნების მუშათა კოლექტივებში, თბილისის საორთქლმავლო დეპოში, რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების მშენებლობებზე, მთელ რიგ სხვა საწარმოებში და ობიექტებზე.

მაგრამ სამეურნეო ხელმძღვანელები, ძირეული პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ყველგან სათანადოდ ვერ ჩაუდგნენ სათავეში მუშათა გაზრდილ საწარმოო აღმავლობას. ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი თვითდამშვიდების, ეგრეთწოდებული „შესვენების“ განწყობილებამ შეიპყრო. ისინი თავიდანვე ჯეროვნად არ მოემზადნენ ახალი სამეურნეო წლისათვის. მაგალითად, თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელებმა დროულად არ მოიმარაგეს ღილები და სასაყელო ბეწვეული, რის გამოც საწარმო დავალებას ვერ ასრულებს. თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დამამზადებელ ქარხანაში ყოველდღიურად არ ამოწმებენ როგორ სრულდება გეგმა.

ჩვენი საწარმოების უმრავლესობის მუშაობაში განსაკუთრებით დიდი ნაკლი ის არის, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, იმისათვის, რომ თვითეული მუშა აუცილებლად ასრულებდეს გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს. ათეულობით და ასეულობით სტახანოველთა გვერდით, რომლებიც დღიურ დავალებებს ორასი და მეტი პროცენტით ანაღდებენ, საწარმოთა დიდ უმრავლესობაში მრავლად მოიპოვებიან ჩამორჩენილებიც. ეს განსაკუთრებით შეეხება ჩვენი საფეიქრო, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს, ქვანახშირის შახტებსა და მარგანეცის მაღაროებს.

ამოცანა ის არის, რომ საწარმოში არ გვყავდეს არცერთი ჩამორჩენილი მუშა, რომ თვითეული მათგანი ასრულებდეს გეგმას. ამით უზრუნველვყოფთ მთელი საწარმოს გეგმაზომიერ მუშაობას, საწარმოო დავალებათა ყოველდღიურად, ყოველდეკადეურად, ყოველთვიურად შესრულებას. საჭირო არ იქნება თვის ბოლო დღეებში იერიშობანა, ზედმეტ საათებში მუშაობა, ზედმეტი სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვა.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა წლის დასაწყისიდანვე უნდა იზრუნონ პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის. საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ პროდუქციის თვითღირებულების თვითეული პროცენტით შემცირება ნიშნავს ათეულ მილიონობით მანეთის ეკონომიას, სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომ სწრაფ აღმავლობას.

„სოციალისტური მრეწველობის წინაშე,—სწერდა ამ დღეებში „პრავდა“.—ახალ ხუთწლედში განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები დგანან. მისი აღდგენის ტემპებსა და უსწრაფეს განვითარებაზე დამოკიდებულია მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება. სამეურნეო და პარტიულმა ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველჰყონ სახელმწიფო გეგმის ყოველდღიურად, თვიდან თვემდე აუცილებლად შესრულება. დაძაბული სისტემატური ბრძოლა გეგმისათვის არის ბრძოლა ომისშემდგომ სიძნელეთა უსწრაფესი დაძლევისათვის, სოციალიზმის ქვეყნის საწარმოო ძალთა შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის“.

შეუნელებელი ბრძოლა გეგმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით წლის დასაწყისიდანვე შესრულებისათვის თვითეული საწარმოს ხელმძღვანელის, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციის მოვალეობაა. ამ მოვალეობის შესასრულებლად აუცილებელია უნარიანად ვუხელმძღვანელოთ სოციალისტურ შეჯიბრებას, სწორად გავანაწილოთ ძალები, სათავეში ჩავუდგეთ მასების შემოქმედებითს ინიციატივას.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების საკითხის გამო

გაზეთ „პრავდაში“ 23 იანვარს გამოქვეყნდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის განცხადება 15 იანვრის „პრავდაში“ შემდეგი სათაურით მოთავსებული სტატიის გამო: „ბევინი უარჰყოფს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას ურთიერთდახმარების შესახებ“.

ამავე დროს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ბევინმა სსრ კავშირში ინგლისის ელჩის ბ-ნ პეტერსონის მეშვეობით 18 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბ. სტალინს შემდეგი შინაარსის მიმართვა გამოუგზავნა. „გახარებული ვარ იმ მეგობრული მიღებით, რომელიც მოუწყეთ მოსკოვში საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსს, და ინტერესით ვსწავლობ ანგარიშს თქვენთან საუბრების შესახებ, რომელიც მან წარმომიდგინა.

მაგრამ ჩვენ შეშფოთებული ვართ თქვენ მიერ გამოთქმული აზრით, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება კავშირისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ შეიძლებოდა მიეჩნიათ ლონდონში როგორც „ჰაერში დაკიდებული“, რამდენადაც შეიძლებოდა ჩაეთვალათ, რომ იგი შეცვალა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. ამ თვალსაზრისს სრული დეზორიენტირებისათვის მომაწერენ პირადად მე „პრავდის“ 15 იანვრის სტატიაში, რომელშიც კონტექსტიდან ამოგლეჯილია და არასწორად განმარტებული ერთი ფრაზა რადიოთი ჩემი 22 დეკემბრის გამოსვლიდან. ნამდვილად მე ის ვთქვი, რასაც ამბობდა ყველა სხვა ძირითადი მოკავშირე. სახელდობრ, რომ ისინი თავიანთ პოლიტიკას ამყარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე.

მე ვერ მიმხვდარვარ, თუ რა იმალება ამ მსჯელობაში, და განსაკუთრებით განცვიფრებული ვარ „პრავდის“ სტატიით, რადგან, როგორც ფელდმარშალ მონტგომერის ნათქვამით გავიგე, თქვენ გითქვამთ, რომ ეს არ არის თქვენი საკუთარი თვალსაზრისი ხელშეკრულების შესახებ. რასაკვირველია, ეს არც ჩემი თვალსაზრისია.

იმის გამო, რომ „პრავდამ“ გამოაქვეყნა ეს სტატია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოებრიობა, მე სხვა არა დამრჩენია რა, გარდა იმისა, რომ გავაკეთო განცხადება.—რომელიც მსურს თქვენ ნახოთ წინასწარ, და კვლავ განვმარტო მისი უდიდებულესობის მთავრობის თვალსაზრისი ამ საკითხზე. მე ვაპირებ 20 იანვარს დილით გამოვაქვეყნო ეს განცხადება“.

22 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა შემდეგი საპასუხო მიმართვა გაუგზავნა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბევინს:

„თქვენი მიმართვა 18 იანვარს მივიღე. უნდა ვაღიარო შემაფიქრიანა თქვენმა განცხადებამ, რომ დიდი ბრიტანეთი არავისთან არ არის დაკავშირებული, გარდა იმისა, რომ ნაკისრი აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებანი. მე მგონია, ასეთი განცხადება, თუ ის სათანადოდ არ იქნა განმარტებული, შეიძლება გამოიყენონ ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მტრებმა. ჩემთვის ნათელია, რომ რა შენიშვნებიც უნდა იყოს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაში და როგორც უნდა ასუსტებდნენ ეს შენიშვნები ხელშეკრულების მნიშვნელობას ომისშემდგომ პერიოდში, ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების არსებობა ვალდებულებებს აკისრებს ჩვენს ქვეყნებს.

სწორედ ეს დებულება მქონდა მხედველობაში, როცა 1946 წლის 17 სექტემბერს ბ-ნ ალექსანდრე ვერტისათვის მიცემულ ჩემს ინტერვიუში განვაცხადე, რომ „საბჭოთა კავშირი დაკავშირებულია დიდ ბრიტანეთთან ხელშეკრულებით გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების შესახებ“ და, მაშასადამე მას აკისრია ვალდებულებანი დიდი ბრიტანეთის მიმართ, გარდა წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებებისა.

მაგრამ თქვენი მიმართვა და ბრიტანეთის მთავრობის განცხადება სავსებით განმარტავენ საქმეს და აქარწყლებენ გაუგებრობას. ახლა ცხადია, რომ მე და თქვენ ერთი და იმავე თვალსაზრისისა ვართ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ.

რაც შეეხება ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების განგრძობას, რაც სპეციალურად არის მოხსენებული ბრიტანეთის მთავრობის განცხადებაში, უნდა ვთქვა, რომ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ ასეთი განგრძობის შესახებ, სანამ ხელშეკრულებას განვაგრძობდეთ, იგი უნდა შეიცვალოს, უნდა განთავისუფლდეს იმ შენიშვნებისაგან, რომლებიც ასუსტებენ ამ ხელშეკრულებას. მხოლოდ ასეთი პროცედურის შემდეგ შეიძლებოდა სერიოზულად გველაპარაკნა ხელშეკრულების განგრძობაზე“. (საკდესი).

სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ოფიცერთა გაცვლის შესახებ ცნობის გამო

პარიზის რადიოს ცნობის გამო, რომ გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა უარი სთქვა მიეღო ფელდმარშალ მონტგომერის წინადადება სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ოფიცერთა გაცვლის შესახებ, საკდესმა ავტორიტეტული წყაროებიდან შემდეგი ცნობები მიიღო ამ საკითხზე.

ი. ბ. სტალინთან საუბარში ფელდმარშალმა მონტგომერიმ დააყენა ოფიცრების — საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო აკადემიათა მსმენელების—გაცვლის საკითხი. ამის პასუხად ი. ბ. სტალინმა სთქვა, რომ ოფიცერთა გაცვლა სასურველია, მაგრამ დრო ამისათვის მთლად შესაფერი არ არის. ი. ბ. სტალინმა განმარტა, რომ საქმე სწავლებისა და შეიარაღების სტანდარტიზაციას ეხება თუ ოფიცერთა გაცვლას მშვიდობიან დროს, ხალხმა შეიძლება ეს ღონისძიება გაიგოს, როგორც ომისათვის მზადება. ამავე დროს, დიდ სახელმწიფოთა ინიციატივით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ რეზოლუცია მიიღო შეიარაღების შემცირების შესახებ და ამან სულ სხვა განწყობილება შექმნა საზოგადოებრიობაში. ამიტომ ოფიცერთა გაცვლა ამჟამად საზოგადოებრივი აზრის ამ განწყობილების საწინააღმდეგო იქნება. ი. ბ. სტალინმა ამასთანავე აღნიშნა, რომ პრესის სხვადასხვა ორგანო ლანძღავს ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს იმის გამო, რომ ისინი ემზადებიან ომისათვის, ახორციელებენ ოფიცერთა გაცვლას და სწავლებისა და შეიარაღების სტანდარტიზაციას. საბჭოთა კავშირს არ სურს, რომ იგიც ლანძღონ, რაც მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირიც ასეთ გზას დაადგებოდა. კარგია ეს თუ ცუდი, დიდმა სახელმწიფოებმა საზოგადოებრიობაში შეჰქმნეს რწმენა, რომ არ არსებობს ომისათვის მზადების საფუძველი. ოფიცერთა გაცვლა არ შეესაბამება ამ მშვიდობისმოყვარე განწყობილებას. (საკდესი).

საკდესი უარყოფს

ჟურნალი „ნიუს უიკი“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის, სხვადასხვა ჭორს ავრცელებს ი. ბ. სტალინსა და ფელდმარშალ მონტგომერის საუბრის შინაარსის შესახებ.

საკდესს დავალებული აქვს უარჰყოს ეს ცნობები, რადგან ისინი სინამდვილეს არ შეესაბამებიან.

მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტების გადაცემა განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებისათვის

ომის წლებში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ დროებით ოკუპირებული რაიონების 80 ათასზე მეტ კოლმეურნეობაში მოსპობილ იქნა მიწის სამუდამო სარგებლობის აქტები. ამ კოლმეურნეობებს ახალი დოკუმენტები ეძლევათ. სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს ცნობებით გასული წლის დამლევს აქტები უკვე მიიღო 60 ათასმა კოლმეურნეობამ.

მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტების გადაცემა კოლმეურნეობებისათვის წელს დამთავრდება. (საკდესი).

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ოცი წლისთავი

მიტინგი სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალურ აეროკლუბში

გუშინ, 23 იანვარს, სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალურ აეროკლუბში შესდგა სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ოცი წლისთავისა და წითელი დროშის ორდენით მისი დაჯილდოებისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგს დაესწრნენ სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს, ცენტრალური აეროკლუბის მუშაკები, მფრინავები, პლანერისტები, პარაშუტისტები, ავიატექნიკოსები, აგრეთვე ქალაქ ტუშინის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა პ. პ. კობელევმა, რომელმაც დაახასიათა საზოგადოების გზა და მისი საქმიანობა.

— საბჭოთა მთავრობამ, — სთქვა ამხ. კობელევმა, — მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა მცირედს შრომას და წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა საზოგადოება. ეს ჯილდო გვავალებს ჩვენ — თავდაცვა-ავიაქიმელებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა მოსახლეობაში საავიაციო ტექნიკის, საავტომობილო და სატრაქტორო საქმის დარგში ტექნიკური ცოდნის დასანერგავად, ყოველნაირად განვავითაროთ სასპორტო-საკლუბო მუშაობა, სასროლო სპორტი, გავაფართოოთ აეროკლუბების საპლანერო და საპარაშუტო სადგურების, მსროლელთა და საკავალერიო კლუბების ქსელი.

მიტინგზე გამოვიდნენ თავდაცვა-ავიაქიმის უძველესი მუშაკები.

მიტინგის მონაწილეებმა ტაშის გრიალში მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. (საკდესი).

ლენინის საარჩევნო ოლქში

ლექციები და საუბრები დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე

ასობით აგიტატორი ესაუბრება ოლქის ამომრჩევლებს მათი კანდიდატის, მშრომელთა საყვარელი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები ყველა იმ საკითხზე, რაც ამომრჩევლებს აინტერესებთ.

№ 8 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი

პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის ერთ-ერთ ცენტრს ოლქში წარმოადგენს № 8 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი, რომელიც მოთავსებულია პლეხანოვის მუშათა კლუბის შენობაში. აქ მუშაობა არ წყდება დილიდან გვიან ღამემდე. აგიტპუნქტში ყოველდღე მოდის ასობით ამომრჩეველი. ისინი ეცნობიან ლიტერატურას არჩევნების საკითხებზე. მაგიდაზე აწყვია ახალი ჟურნალ-გაზეთები, ბროშურები — „ლენინი სახელმწიფოს შესახებ“. ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია, ი. ბ. სტალინის სიტყვა, წარმოთქმული 1946 წლის 9 თებერვალს მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე.

კედლები მორთულია პლაკატებით, ლოზუნგებით და დიაგრამებით, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა ხალხის გმირული შრომის და ბრძოლის შედეგად მიღწეულ წარმატებებზე.

აგიტპუნქტში თითქმის ყოველდღე ეწყობა დიასახლისებისათვის საუბრები და მოხსენებები, კლუბში უჩვენებენ ახალ დადგმებს, საინტერესო კინოფილმებს. ერთი კვირის განმავლობაში ორიათასზე მეტმა ამომრჩეველმა ნახა კინოსურათები „ლენინი ოქტომბერში“, „ფიცი“, „პარხომენკო“.

უბნის ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. ლოლაძე აგიტპუნქტში ხშირად ესაუბრება დიასახლისებს ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ამომრჩეველთა სიხარული

№ 4 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში გამოკრულია არჩევნებისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთი, რომელშიც საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული გ. ციმაკურიძე სწერს:—მე წილად მხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო სამამულო ომში, წვლილი შემეტანა ჩემი დიადი სამშობლოს დაცვის საქმეში. ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა პირნათლად მოვიხადე, მიხარია, რომ ვიბრძოდი დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად. ამჟამად ის მახარებს, რომ 9 თებერვალს ხმას მივცემ ჩვენს მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს. ასეთივე სიხარულს გამოსთქვამს აქვე თავის წერილში ახალგაზრდა ამომრჩეველი ე. კრავჩენკო, რომელსაც ახლა შეუსრულდა 18 წელი და თავის პირველ ხმას დიდ სტალინს მისცემს.

დაუვიწყარი შეხვედრა

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკაბინეტში საინტერესო შეხვედრა მოეწყო. ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეკრებაზე, რომელსაც ასზე მეტი კაცი ესწრებოდა, მოგონებით გამოვიდა ქარხნის ძველი მუშა ამხ. ტ. ილინი. იგი თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ წრეში მეცადინეობდა. ახალგაზრდა ამომრჩევლებმა დაძაბული ყურადღებით მოისმინეს ძველი მუშის სიტყვები. ამხ. ილინმა მათ უამბო, თუ რა უუფლებობასა და დამცირებას განიცდიდნენ მუშები რევოლუციამდე. მან დამსწრეებს მოუთხრო, თუ როგორ რაზმავდა ახალგაზრდა სტალინი რკინიგზელებს თვითმპყრობელობის დასამხობად.

ამ შეხვედრამ ახალგაზრდა ამომრჩეველთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. კომკავშირელმა სტახანოველმა ვ. ვაშაკიძემ ქარხნის ახალგაზრდობის სახელით საუბრისათვის მადლობა გადაუხადა უხუცეს მუშას ამხ. ილინს და ახალი საწარმოო ვალდებულება იკისრა.

სტახანოვურ ვახტზე

ლენინის საარჩევნო ოლქის საწარმოებში სულ უფრო და უფრო ფართოდ ჩაღდება წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრება.

8 იანვარს თბილისის საორთქლმავლო დეპოში გამართულ მიტინგზე აწევითი საამქროს უფროსმა ამხ. შ. ხიზანიშვილმა ვალდებულება იკისრა, რომ არჩევნების აღსანიშნავად იანვარში გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ ორ ორთქლმავალს. დეპოს მოწინავე ადამიანები ხარატები—ო. მაზმიშვილი, ს. ცერაძე, გ. შათირიშვილი, ზეინკლები—ა. ჭუმბურიძე, პ. ადამეცკი, ვ. ნიკოლეიშვილი, შემდუღებლები:—ვ. პატარქალაშვილი, გ. ხმიადაშვილი სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და ყოველდღიურ დავალებას 400-500 პროცენტით ასრულებენ.

ასობით მოწინავე მუშა დგას სტახანოვურ ვახტზე ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში და ყოველდღიურად სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევა.

ზეინკლებმა მიხანაშვილმა, ბადრიძემ, ბეჟუაშვილმა, ქელბაქიანმა და ჟანეთაშვილმა 18, 19, 20, 21, 23 იანვარს გეგმა 500-600 პროცენტით გაანაღდეს. საელმავლო საამქროს ახალგაზრდა სტახანოველებმა აბიაშვილმა, პაპიაშვილმა და დევსურაშვილმა იანვრის გეგმა 15 იანვრისათვის 250 პროცენტით შეასრულეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა მჭედელმა კ. ილურიძემ იკისრა იანვრის გეგმა 500 პროცენტით შეასრულოს. ამხ. კ. ილურიძე სტახანოვურ ვახტზე დგას და ნორმას 700-800 პროცენტით ანაღდებს. მექანიკური საამქროს ხარატმა მრავალდაზგოსანმა პ. ვასილევმა, რომელსაც უკვე შესრულებული აქვს სამი წლის გეგმა, არჩევნების აღსანიშნავად ვალდებულება აიღო, ყოველდღიური დავალება სულ მცირე 500 პროცენტით გაანაღდოს. ფაქტიურად ამხ. ვასილევი ყოველდღიურ დავალებას 700-800 პროცენტით ასრულებს. ამავე საამქროს ხარატები ზარიძე, ცირეკიძე ყოველდღიურად 5-6 ნორმას იძლევიან.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ამწყობმა საამქრომ, რომელსაც მ. წეროძე ხელმძღვანელობს, იანვრის პირველი ორი დეკადის გეგმა 115 პროცენტით შეასრულა. მოწინავე ზეინკლები ა. ბენდიანიშვილი, უ. სვანი, მრავალდაზგოსანი სოლონიცინი და სხვები ერთ თვეზე მეტია არჩევნებისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგანან და 600-700 პროცენტით ანაღდებენ ყოველდღიურ გეგმას.

ტრაქტორების, კომბაინების, გუთნების, სათესებისა და კულტივატორების რემონტი

(საქართველოს სსრ მიწათმოქმედებისა და ტექნიკური კულტურების სამინისტროების 20 იანვრის ცნობებით)

რემონტის გეგმის შესრულება პროცენტობით

მტს-ები	ტრაქტორების	კომბაინების	გუთნების	სათესების	კულტივატორების	მტს-ები	ტრაქტორების	კომბაინების	გუთნების	სათესების	კულტივატორების
ქარელის	65,0	50,0	43,8	44,4	25,0	სართიჭალის	57,1	6,7	21,4	33,3	40,0
გორის	68,0	—	57,9	50,0	—	ბაშკიჩეთის	73,3	—	48,0	50,0	—
მინდელის	66,7	—	30,4	—	33,3	ქუთაისის	100,0		71,4		66,7
წითელქალაქის	83,3	—	30,0	12,5	—	სამტრედიის	81,2		53,8		—
დუშეთის	79,2		41,7	50,0	50,0	ვანის	107,1		100,0		
სტალინირის	47,6	—	5,0	—	—	ზესტაფონის	100,0		100,0		100,0
ქსნის	61,9	—	20,0	20,0	50,0	გულრიფშის	81,8	—	82,4	—	50,0
ახალქალაქის	83,3		29,5	64,3	20,0	გალის	80,0	—	44,4	—	100,0
ვარიანის	93,8		64,7	60,0	133,3	ოჩამჩირის	100,0	—	64,3	—	100,0
ბოგდანოვკის	100,0		90,9	76,4	100,0	გუდაუთის	25,0	—	75,0	—	—
ახალციხის	83,3		88,0	62,5	40,0	ტამიშის	71,4	—	100,0	—	—
თიანეთის	47,8	—	35,0	33,3	40,0	ქობულეთის	83,3	—	40,0	—	100,0
წალკის	76,9		—	—		მახარაძის	110,0	—	100,0	—	—
ასურეთის	62,5	—	27,3	41,7	17,2	ლანჩხუთის	81,0	—	75,0	—	50,0
გურჯაანის	64,6	22,2	25,0	66,7	16,7	აბაშის	100,0	—	104,8	—	50,0
კაჭრეთის	60,0	—	25,0	42,9	28,6	ცხაკაიას პირველი	100,0	—	52,2	—	—
ულიანოვკის	88,6	—	58,3	83,3	58,3	ცხაკაიას მეორე	28,6	—	—	—	—
წნორის	69,8	—	63,8	66,7	40,0	გეგეჭკორის	100,0	—	57,1	—	—
წითელწყაროს	54,1	—	15,4	5,6	—	ზუგდიდის	63,2	—	35,0	—	50,0
ალაზნის	48,1	—	33,3	6,7	25,0	ხობის	71,4	—	62,5	—	100,0
შირაქის	66,7	2,4	58,8	61,5	33,3	წულუკიძის	66,7	—	40,0	—	—
თელავის	64,0	—	70,0	—	—	ლაგოდეხის	56,4	—	29,5	—	—
ახმეტის	58,3	9,1	40,0		—	ბორჩალოს	69,2	—	21,6	22,2	—
ყვარლის	40,9	—	—	—	—	მულაურის	59,3	—	15,4	31,3	22,2
დიღმის	58,3	—	33,3	—		ბოლნისის	80,6	25,0	29,2	50,0	—
თბილისის	71,9	—	51,6	22,2	100,0	ხაშურის	66,7	50,0	52,0	60,0	62,5
თელეთის	78,1	16,7	76,2	25,0	22,2	აგარის	51,6	20,0	5,0	—	—
მცხეთის	27,9	—	7,9	—	100,0	რუისის	59,4	9,1	26,0	45,5	55,6
ყარაიის	58,5	—	16,7	14,3	20,0	ახალსოფლის	17,1	—	—	—	—
საგარეჯოს	53,7	5,9	28,6	22,2	50,0	კასპის	50,0	—	35,3	20,0	—

რ. ს. ზემლიაჩკას დაკრძალვა

24 იანვარს მოსკოვის მშრომელებმა დაკრძალეს ბოლშევიკური პარტიის უძველესი მოღვაწე, მშრომელთა საქმისათვის დაუღალავი და თავდადებული მებრძოლი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი როზალია სამუელის ასული ზემლიაჩკა.

დილის 10 საათზე დაიწყო მშრომელთა შესვლა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. მაღალ პოსტამენტზე დგას ურნა განსვენებულის ნეშტით. კვარცხლბეკთან აწყვია გვირგვინები, რომლებითაც გუშინ პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, მოსკოვის საწარმოების მშრომელთა წარმომადგენლებმა შეამკეს განსვენებულის კუბო. ატლასის ბალიშებზე არის ორდენები და მედლები, რომლებითაც დაჯილდოებული იყო ამხ. ზემლიაჩკა სამშობლოსადმი ხანგრძლივი თავდადებული სამსახურისათვის.

ურნის წინ გაიარეს მოსკოვის კიროვის, რიაზანის, მოსკვორეცკის მშრომელთა დელეგაციებმა. აი დარბაზში შემოდის კურსკის ოლქის დმიტრიევის რაიონის მშრომელთა დელეგაცია: ამ რაიონის მშრომელებმა აირჩიეს რ. ს. ზემლიაჩკა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დელეგაციამ გვირგვინი მოიტანა და საპატიო ყარაულში დადგა.

სამგლოვიარო ვახტს ზედიზედ ეწევიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკები. დარბაზში შემოაქვთ ახალი გვირგვინები უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს და უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, რსფსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროსაგან, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს კოლეგიისაგან, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროსაგან, ჩუვაშეთის საოლქო პარტორგანიზაციისაგან.

ათიათასობით მოსკოველი იყო გუშინ სვეტებიან დარბაზში და უდიდესი პატივისცემით მოიხადა ვალი ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის წინაშე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებას მოახმარა.

გაისმის სამგლოვიარო მარშების სევდიანი ხმები. ყოველ ხუთ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. სამგლოვიარო ვახტს ეწევიან ამხანაგები: კოსიგინი, ვლასოვი, პერვუხინი, სტასოვა, აკადემიკოსები: მიტინი, შტერნი. განსვენებულის ნეშტთან ვახტს ეწევიან დედაქალაქის მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები, მუშები, ინჟინრები, პედაგოგები, მწერლები, საბჭოთა არმიის მეომრები.

14 საათზე შესწყდა მშრომელთა შესვლა. დარბაზში რჩებიან განსვენებულის უახლოესი მეგობრები და ნათესავები, დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა აქტივი, მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. უკანასკნელ ვახტს ეწევიან ნ. მ. შვერნიკი, ა. ა. კუზნეცოვი, ნ. ს. პატოლიჩევი, გ. მ. პოპოვი, მ. თ. შკირიატოვი, ა. თ. გორკინი, გ. თ. ალექსანდროვი, ი. ტ. თევოსიანი, ნ. პ. ფირიუბინი, ს. ა. ლოზოვსკი.

გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია. დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები პოსტამენტიდან იღებენ ურნას და ფრთხილად გამოაქვთ ქუჩაში „ოხოტნი რიადისა" და მანეჟის მოედნის გასწვრივ ჩამწკრივებულა საპატიო სამხედრო ესკორტი. ესკორტი დახრილი დროშებით მიჰყვება სამგლოვიარო პროცესიას წითელ მოედანზე, სადაც ჩამწკრივებულია ჯარები და დედაქალაქის ათასობით მშრომელნი.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები: ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. ანდრეევი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. კუზნეცოვი, ნ. ს. პატოლიჩევი, გ. მ. პოპოვი, მ. თ. შკირიატოვი, ა. თ. გორკინი.

ამხ. შკირიატოვი ხსნის რ. ს. ზემლიაჩკას ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან გამოდის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მ. პოპოვი.

ამხ. გ. მ. პოპოვის სიტყვა

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ ვეთხოვებით ბოლშევიკური პარტიის უძველეს მოღვაწეს, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრს, პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს როზალია სამუელის ასულ **ზემლიაჩკას**.

ამხ. **ზემლიაჩკას** სიკვდილი მძიმე დანაკლისია ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხისათვის. ბოლშევიკი რევოლუციონერის, ლენინ-სტალინის დიადი იდეებისათვის მტკიცე და თავდადებული მებრძოლის დიდი, სახელოვანი ცხოვრების გზა განვლო როზალია სამუელის ასულმა.

ამხ. **ზემლიაჩკა** პარტიაში შევიდა მისი დაარსების პირველსავე დღეებში და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კომუნიზმის საქმისათვის უანგარო სამსახურს მოახმარა. მარქსისტული არალეგალური წრეების მონაწილე როზალია სამუელის ასული მალე გახდა მუშათა მასების დიდი რევოლუციური ორგანიზატორი, რომელიც პარტიის უმნიშვნელოვანეს დავალებებს ასრულებდა.

1903 წელს ამხ. **ზემლიაჩკა** მონაწილეობს პარტიის მეორე ყრილობის მუშაობაში და მტკიცედ იცავს ლენინის პოზიციას. იმავე წელს იგი ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ხდება. ამხ. **ზემლიაჩკა** დიდ მუშაობას ეწევა მოსკოვსა და პეტერბურგში, თანმიმდევრულად და შეურიგებლად იბრძვის მენშევიკების წინააღმდეგ.

1905 წელს ამხ. **ზემლიაჩკა** ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტმა დელეგატად გაგზავნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობაზე.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს მოსკოვში, იგი ბოლშევიკების მოსკოვის კომიტეტის მდივანია.

ამხ. **ზემლიაჩკა** ლენინ-სტალინის საქმისათვის მედგარი მებრძოლი იყო. ვერც მეფის პოლიციის დევნამ, ვერც დაპატიმრებამ, ვერც საპყრობილემ ვერ გასტეხა მისი რევოლუციური ნებისყოფა და ენერგია.

თებერვლის რევოლუციიდან ოქტომბრის რევოლუციამდე ამხ. **ზემლიაჩკა**, ბოლშევიკური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივნად ყოფნისას, მშრომელთა მასებს რაზმავს ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში ამხ. ზემლიაჩკა აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსკოვში საბჭოების ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

სამოქალაქო ომის წლებში პარტიამ ამხ. **ზემლიაჩკა** გაგზავნა პოლიტიკურ სამუშაოზე წითელ არმიაში. სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში როზალია სამუელის ასული ფრონტის საბრძოლო უბნებზე იყო. იგი საბჭოთა მეომრების წინაშე გამოდიოდა მგზნებარე სიტყვებით, აწყობდა და წარმართავდა მე-8 და მე-13 არმიების მებრძოლ-მეთაურთა პოლიტიკურ აღზრდას. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ამხ. **ზემლიაჩკა** პასუხსაგებ პარტიულ მუშაობას ეწეოდა მოსკოვში, ყირიმში, დონის როსტოვში, ურალში. 1927 წლიდან იგი პარტიული და საბჭოთა კონტროლის ცენტრალურ ორგანოებში მუშაობდა. პარტიის XVII ყრილობაზე ამხ. **ზემლიაჩკა** არჩეულ იქნა საბჭოთა კონტროლის კომისიის წევრად. შეუპოვრად, დაუშრეტელი ენერგიით იბრძოდა იგი სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, საბჭოთა აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების გამოვლინების წინააღმდეგ. ამ დიდ პარტიულ და სახელმწიფო მუშაობაში როზალია სამუელის ასული მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშრომელ მასებთან, გულმხიერად ეპყრობოდა მათ მოთხოვნილებასა და საჭიროებას.

დიდი სამამულო ომის წლებში ამხ. **ზემლიაჩკა**, როგორც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მთელ თავის უდიდეს ორგანიზაციულ გამოცდილებას, მთელ თავის მჩქეფარე ენერგიას ახმარს მტერზე გამარჯვების საქმეს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, ამხ. **ზემლიაჩკა** შეუნელებელი ენერგიით მუშაობდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

მთავრობამ დიდად დააფასა ამხ. **ზემლიაჩკას** დამსახურება სამშობლოს წინაშე, დააჯილდოვა იგი ლენინის ორი ორდენით, წითელი დროშის ორდენით და მედლებით „მოსკოვის დაცვისათვის" და „დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

ამხანაგებო! სახელოვანი სიცოცხლის ნახევარ საუკუნეზე მეტი ამხ. **ზემლიაჩკამ** მოახმარა რევოლუციურ ბრძოლას, ხალხის თავდადებულ სამსახურს. მისი მოღვაწეობა ბოლშევიკური პარტიისადმი დიდი ერთგულების შესანიშნავი მაგალითია.

მისმა თავმდაბლობამ, თავისი თავისადმი დიდმა მომთხოვნელობამ, ხალხისადმი ყურადღებამ და გულმხიერებამ გამოიწვიეს მისდამი პარტიული, საბჭოთა მუშაკებისა და მშრომელთა ფართო მასების მხურვალე სიმპატია და დიდი პატივისცემა.

ამხ. **ზემლიაჩკა** დავკარგეთ, როცა საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით იბრძვის ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის.

შესანიშნავი რევოლუციონერი ბოლშევიკის ამხ. **ზემლიაჩკას** ნათელი სახე ალაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს, რათა ახალ-ახალი შრომითი გმირობა გამოიჩინონ ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და დიდებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის!

მშვიდობით ჩვენო ერთგულო მეგობარო, ჩვენო ძველო მებრძოლო ამხანაგო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან სიტყვას ამბობს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი.

ამხ. ა. თ. გორკინის სიტყვა

ამხანაგებო, როზალია სამუელის ასულ ზემლიაჩკას სახით ჩვენმა პარტიამ და ხალხმა დაკარგეს ბოლშევიკური პარტიის უძველესი მოღვაწე, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი და მშენებელი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ამხ. ზემლიაჩკამ გაიარა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, ახალი საზოგადოებრივი წყობილების შენებისათვის ბრძოლის სახელოვანი გზა.

როზალია სამუელის ასულმა, რომელიც თავისი ხანგრძლივი რევოლუციური ცხოვრების მანძილზე ბოლშევიკური პარტიის იდეებისათვის იბრძოდა, და მეფის თვითმპყრობელობის შავბნელ წლებში ხშირად განიცდიდა დევნას, დიდი ძალა და რევოლუციური გატაცება ჩააქსოვა ჩვენი პარტიის მუშაობას 1917 წლის დიდი გადატრიალების მოსამზადებლად.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ამხანაგი ზემლიაჩკა არის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მებრძოლი დამცველი, მასების ორგანიზატორი ახალი წყობილების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს როზალია სამუელის ასულმა სამი წელი გაატარა ფრონტის სხვადასხვა უბანზე და პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა არმიაში. საბჭოთა სახელმწიფოს დაცვაში ამ დამსახურებისათვის მთავრობამ წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა ამხ. ზემლიაჩკა.

სამოქალაქო ომის დამთავრებისა და ინტერვენტების განდევნის შემდეგ როზალია სამუელის ასული დაუღალავ მუშაობას ეწეოდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ პოსტზე საბჭოთა სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ამხ. ზემლიაჩკა დიდხანს მუშაობდა გზათა სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ და თავმჯდომარედ. 1939 წლიდან და დიდი სამამულო ომის პერიოდში როზალია სამუელის ასულს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მაღალი პოსტი ეკავა.

ამხ. ზემლიაჩკა აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოების მრავალი ყრილობის მუშაობაში. 1937 წელს იგი აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. როგორც საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს დეპუტატი, ხალხის მსახური და წარგზავნილი, როზალია სამუელის ასული წმიდად ასრულებდა ამხანაგ სტალინის მითითებას, რომ დეპუტატი უნდა იყოს თავისი ამოცანების სიმაღლეზე, იყოს ლენინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწე, უშიშარი და ულმობელი ხალხის მტრებისადმი, არ ეძლეოდეს პანიკას, იყოს მართალი და პატიოსანი და ისე უყვარდეს თავისი ხალხი, როგორც იგი უყვარდა ლენინს.

ყოველ სამუშაოზე, რომელსაც როზალია სამუელის ასული პარტიის დავალებით ასრულებდა, იგი იჩენდა დაუღალავ ენერგიას და ბოლშევიკურ ტემპერამენტს, იყენებდა მთელ თავის მდიდარ გამოცდილებას. მომთხოვნელი იყო თავისი თავისა და სხვებისადმი. როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ჭეშმარიტი მოქალაქე, იგი ყველაფერზე მაღლა აყენებდა საზოგადო ინტერესებს.

სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, სოციალისტური მშენებლობის ამოცანებისადმი ამ აპარატის შეგუებისათვის როზალია სამუელის ასული სსრ კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილებით დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

1946 წელს მრავალი წლის წარმატებითი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეობისათვის დაბადების 70 წლისთავის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლენინის მეორე ორდენით დააჯილდოვა ამხანაგი ზემლიაჩკა.

როზალია სამუელის ასული გვტოვებს მაშინ, როცა საბჭოთა ხალხი, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა მძიმე ომიდან, მთელი ძალებით აჩაღებს მუშაობას მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე, გაბედულად მიდის წინ და ასრულებს ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანებს.

როზალია სამუელის ასულ ზემლიაჩკას ხსოვნა სამუდამოდ დაგვრჩება გულში და მისი ნათელი ცხოვრება მაგალითი იქნება ლენინ-სტალინის პარტიის წმიდა საქმისათვის, ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს აყვავებისა და დიდებისათვის ბრძოლაში.

მშვიდობით ამხანაგო და ძვირფასო მეგობარო!

ჩვენ თავს ვხრით შენი სამარის წინ, გვწამს მომავალი ჩვენი ხალხისა, რომლის სამსახურსაც შენი სიცოცხლე შესწირე.

მოსკოვის მშრომელთა სახელით სიტყვას ამბობს მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. ვ. სარიჩევა.

ამხ. მ. ვ. სარიჩევას სიტყვა

ამხანაგებო!

დიდი მწუხარებისა და სევდის გრძნობით ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელნი კრძალავენ დღეს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის უძველეს წევრს როზალია სამუელის ასულ ზემლიაჩკას.

ჩვენი სამშობლოს სახელოვანი შვილი, კომუნიზმის დიადი საქმისათვის თავდადებული მებრძოლი ამხ. ზემლიაჩკა უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა საბჭოთა ადამიანებს შორის.

პარტიასთან ერთად მან გაიარა მეფის თვითმპყრობელობის ბურჟუაზიულ-მემამულური ჩაგვრის წინააღმდეგ, ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოებრივი წყობილების აგებისათვის გმირული რევოლუციური ბრძოლის სახელოვანი გზა.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთათვის ამხ. ზემლიაჩკას სახელი განსაკუთრებით მახლობელი და ძვირფასია.

როზალია სამუელის ასულმა დიდი ძალა და ენერგია მოახმარა მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობას. აქ, მოსკოვში, რევოლუციამდელ წლებში იგი ავრცელებდა ლენინურ გაზეთ „ისკრას" და შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა მენშევიკების წინააღმდეგ.

1905 წელს ამხ. ზემლიაჩკა, როგორც პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანი მონაწილეობს დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში, მგზნებარე რევოლუციურ სიტყვებს წარმოსთქვამს კურსკის რკინიგზის სახელოსნოებში, აწყობს როგოჟის რაიონის მუშათა მებრძოლ რაზმებს. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ იგი აქტიურად მუშაობს ბოლშევიკების მოსკოვის სამხედრო ორგანიზაციაში.

1916 წელს საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ამხ. ზემლიაჩკა შედის ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის მოსკოვის საოლქო ბიუროს შემადგენლობაში. თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში როზალია სამუელის ასული არჩეულ იქნა პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივნად. 1917 წლის ოქტომბერში იგი აქტიურად მონაწილეობს საბჭოების ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

სამოქალაქო ომის წლებში როზალია სამუელის ასული იარაღით ხელში იცავს ოქტომბრის მონაპოვარს, ასრულებს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას არმიის ნაწილებში. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ იგი კვლავ მუშაობს მოსკოვში, როგორც პარტიის ზამოსკვორეჩიეს რაიკომის მდივანი, შეურიგებლად იბრძვის ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ.

ცხოვრების შემდგომ წლებში ამხ. ზემლიაჩკა მუშაობდა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებში და მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციასთან. არაერთხელ აურჩევიათ პარტიის კიროვის რაიკომის წევრად. მას მუდმივი კავშირი ჰქონდა მოსკოვის საწარმოთა მუშებთან, დედაქალაქის მასწავლებლებთან, ექიმებთან, მეცნიერ მუშაკებთან. ათასობით მოსკოველი მიმართავდა ამხანაგ ზემლიაჩკას და მუდამ დახმარებას და შემწეობას იღებდა მისგან.

როზალია სამუელის ასული განსაკუთრებული სიყვარულითა და ზრუნვით ეპყრობოდა ბავშვებს. დიდ ენერგიასა და შრომას ახმარდა იგი მოზარდი თაობის აღზრდას, საბავშვო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას, ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციას.

მშრომელთა საჭიროებისა და ინტერესებისადმი გულმხიერი ამხ. ზემლიაჩკა, დაუნდობელი იყო ბიუროკრატიზმის, ჩინოვნიკობის, ადამიანისადმი უსულგულო დამოკიდებულების ყოველ გამოვლინებისადმი.

როზალია სამუელის ასული საბჭოთა ქალების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი განასახიერებდა მუშაკის ლენინურ-სტალინური სტილს, მტკიცე პრინციპულობის, მშრომელთათვის გულითადი ზრუნვის თვისებებს. მისი კეთილშობილური სახე მაგალითია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის.

მშვიდობით, ძვირფასო როზალია სამუელის ასულო! შენი ნათელი ხსოვნა დიდხანს დაგვრჩება გულში!

* * *

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. ანდრეევი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ნ. კოსიგინი და დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები ტრიბუნიდან ჩამოდიან და ფრთხილად გამოაქვთ ურნა პოსტამენტიდან. პროცესიის მონაწილეები კრემლის კედლისაკენ მიდიან. გ. მ. პოპოვი ურნას დგამს ახალ ნიშში, რომელიც იფარება მარმარილოს დაფით. დაფაზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია წარწერა:

როზალია სამუელის ასული
ზემლიაჩკა

1 21
18 — 76 19 — 47
IV 1

სამგზის გაისმის ზალპი. სამგლოვიარო მარშის მელოდიას სცვლის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიადი ხმები, რომლებიც სიმბოლურად აღნიშნავენ იმ დიადი საქმის უკვდავებას, რომლის გამარჯვებისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა რ. ს. ზემლიაჩკა (საქტესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ილარიონ ილარიონის-ძე ტალახაძე

პროფესორი ი. ი. ტალახაძე დაიბადა 1894 წელს. 1917 წელს იგი საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში შევიდა.

1920 წლიდან 1924 წლამდე ამხ. ი. ტალახაძე მუშაობდა საგანგებო კომისიისა და გაერთიანებული პოლიტსამმართველოს ორგანოებში, შემდეგ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ, ქუთაისის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსად, სამართლის ინსტიტუტის დირექტორად. 1936 წლიდან 1946 წლამდე ამხ. ი. ტალახაძე საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორია. ამჟამად არის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოს და სამართლის თეორიის კათედრის გამგე და საბჭოთა სამართლისა და საბჭოთა მშენებლობის ლექტორი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ რესპუბლიკურ ორწლიან პარტიულ სკოლაში.

პროფესორი ი. ი. ტალახაძე აქტიურად მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი არის საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ამომრჩეველთა შორის დიდი ნდობით სარგებლობს. 1946 წელს ამხ. ტალახაძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ი. ი. ტალახაძე რეგისტრაციაში გაატარა საჩხერის № 121 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ანდრია ივანეს-ძე ბონდარევი

ამხ. ა. ბონდარევი დაიბადა 1905 წელს სარატოვის გუბერნიაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ბავშვობიდან ეწეოდა დაქირავებულ შრომას. 1921 წელს კომკავშირში შედის. 1923 წლამდე წითელ არმიაში იყო პასუხსაგებ სამუშაოზე. 1925 წელს საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში შევიდა.

ამხ. ა. ბონდარევი მუშაობდა მოსკოვში ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოებზე. 1932 წელს გადმოიყვანეს საკავშირო ალკკ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილედ. 1933 წლიდან მუშაობდა აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად და ბაქოს კომიტეტის პირველ მდივნად. 1936 წელს დაინიშნა გაზეთ „მოლოდოი რაბოჩის" რედაქტორად. 1937-1939 წლებში მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, 1939 წლიდან ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო 1940 წლიდან დღემდე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგედ.

ამხ. ა. ბონდარევი არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი. დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით და სამი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ა. ი. ბონდარევი რეგისტრაციაში გაატარა ბორჩალოს რაიონის შაუმიანის № 80 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

მარიამ ფრიდონის ასული ჩადუნელი

ამხ. მარიამ ფრიდონის ასულ ჩადუნელს, ისე როგორც ყველა მშრომელს, საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა შესაძლებლობა მისი შრომა ნაყოფიერი და ხალხისათვის სასარგებლო ყოფილიყო.

მარო ჩადუნელი დაიბადა 1902 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში, კასპის რაიონის სოფელ იგოეთში. მეფის თვითმპყრობელობის დროს გლეხის ქალს ვინ მისცემდა სწავლის საშუალებას. მეზობლების დახმარებით დიდი ტანჯვით ისწავლა წერა-კითხვა.

1930 წელს მარო ჩადუნელი კოლმეურნეობაში შევიდა. ამ დღიდან დაიწყო მისთვის ახალი ცხოვრება. პატრიოტი ქალი ცნობილია, როგორც შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის ოსტატი. მის გამოცდილებასა და მეთოდებზე მრავალი კოლმეურნე აღიზარდა.

1930-1936 წლებში მარო ჩადუნელს ბრიგადირობა დაავალეს სოფელ იგოეთის კოლმეურნეობა „გლეხის იმედში". მისი ბრიგადა მუდამ მოწინავე იყო, სანიმუშოდ უვლიდა ნაკვეთებს და ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებდა დავალებებს. 1936 წელს ის აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ამ საქმეს წარმატებით უძღვება. კოლმეურნეობა გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, მოწესრიგებულია შრომა, დღითი-დღე იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი.

მარო ჩადუნელი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის". 1939 წლიდან ამხ. ჩადუნელი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია.

ამხ. მ. ჩადუნელი საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. მ. ფ. ჩადუნელი რეგისტრაციაში გაატარა კასპის რაიონის კავთისხევის № 41 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

რაჟდენ იაკობის-ძე მურცხვალაძე

ამხ. რაჟდენ იაკობის-ძე მურცხვალაძე დაიბადა ცაგერის რაიონში 1904 წელს. შრომითი საქმიანობა ადრე დაიწყო. 1922 წელს შევიდა კომკავშირის რიგებში. 1926 წლიდან მუშაობს მილიციაში პასუხსაგებ სამუშაოზე. 1927 წლიდან საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია. 1929 წელს შევიდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1932 წელს. ამ ხნიდან მუშაობს პროფკავშირული და პარტიული ხაზით. 1938 წელს აირჩიეს საქართველოს კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1940 წლიდან პარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობს.

ამხ. მურცხვალაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და სამი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. რ. ი. მურცხვალაძე რეგისტრაციაში გაატარა ცაგერის № 146 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ოლია გაბრიელის ასული ბურდული

მოწინავე პედაგოგი ამხ. ოლია გაბრიელის ასული ბურდული დაიბადა 1908 წელს ქ. დუშეთში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი. 1944 წელს შევიდა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

ამხ. ო. ბურდული 15 წელია ეწევა პედაგოგიურ მუშაობას. ამჟამად მუშაობს არანისის საშუალო სკოლის დირექტორად. აქტიურ მონაწილეობას იღებს პარტიულ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მცხოვრებთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

ამხ. ბურდული, როგორც მოწინავე პედაგოგი დაჯილდოებულია სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკის ნიშნით და მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ო. გ. ბურდული რეგისტრაციაში გაატარა დუშეთის რაიონის ჟინვალის № 85 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

გური დავითის-ძე კანდელაკი

ამხ. გ. კანდელაკი დაიბადა 1895 წელს ტყიბულის რაიონში. მიიღო უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება. 1928 წლიდან მუშაობს საბჭოთა მეურნეობებში მევენახე-აგრონომად. 1937 წლიდან მუშაობს წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში. ახლა იგი უფროსი აგრონომია და წარმატებით ხელმძღვანელობს მევენახეობის დარგს მეურნეობაში. მევენახეობის გამოჩენილი სპეციალისტია. უზრუნველჰყოფს მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამზადებას.

მევენახეობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. გ. კანდელაკი დაჯილდოებულია წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით და ორი მედლით.

ამხ. გ. კანდელაკი არის საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. გ. დ. კანდელაკი რეგისტრაციაში გაატარა თელავის რაიონის წინანდლის № 105 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ალექსანდრე სპირიდონის-ძე ხუჯაძე

ამხ. ალექსანდრე სპირიდონის-ძე ხუჯაძე დაიბადა 1906 წელს ხაშურში, მუშის ოჯახში. 11 წლიდან ექვსი წლის განმავლობაში იყო მოჯამაგირედ. 1922 წელს შედის კომკავშირში. 1923 წელს მუშაობა დაიწყო ხაშურის დეპოში და თან სწავლობდა. დაამთავრა შვიდწლედი. შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა კომკავშირის ხაშურის, ბორჯომისა და გორის რაიკომებში.

1928 წლიდან ამხ. ა. ხუჯაძე საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია.

ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ამხ. ა. ხუჯაძე ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზეა. 1938 წლიდან 1943 წლამდე მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივნად. 1943 წლის იანვარში საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივნად აირჩიეს. 1943 წლის დეკემბერში მას ირჩევენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივნად, სადაც დღემდე მუშაობს.

ამხ. ა. ხუჯაძე არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და ორი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ა. ს. ხუჯაძე რეგისტრაციაში გაატარა ქალაქ თბილისის „პრავდის“ № 4 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

გიორგი საბას-ძე სეხნიაშვილი

ამხ. გიორგი საბას-ძე სეხნიაშვილი დაიბადა 1910 წელს. 1927 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ერთი წლის განმავლობაში მასწავლებლობდა თელავის რაიონის სოფელ ზემოხოდაშენში. 1932 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ამხ. გ. სეხნიაშვილი ერთ წელს მუშაობდა შირაქის საბჭოთა მეურნეობაში უფროს მექანიკოსად, 1933 წლიდან 1938 წლამდე კი თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის უფროს მექანიკოსად.

1939 წლიდან 1941 წლამდე იყო წითელი არმიის რიგებში. 1941 წელს იგი დანიშნულ იქნა თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორად.

ამხ. გ. სეხნიაშვილი 1943 წლიდან იმყოფება პარტიულ სამუშაოზე. ის იყო საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის ჯერ მეორე მდივანი, ხოლო ამჟამად პირველი მდივანია.

სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის ამხ. გ. სეხნიაშვილი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, აგრეთვე მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. გ. ს. სეხნიაშვილი რეგისტრაციაში გაატარა თელავის რაიონის ნაფარეულის № 107 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

მარიამ გიორგის ასული ბეროიანი

დიდი სამამულო ომის დღეებში თბილისის სომხური დრამის მსახიობი ამხ. მარიამ გიორგის ასული ბეროიანი ენერგიულად მუშაობდა, რათა თავისი წვლილი შეეტანა პირსისხლიან ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში. ამხ. მ. ბეროიანი აგიტაციას ეწეოდა დიასახლისებში, აწყობდა საჩუქრების გაგზავნას ფრონტზე ჩვენი მამაცი მებრძოლებისათვის, გამოდიოდა კონცერტებზე წითელი არმიის ნაწილებსა და ჰოსპიტლებში. ამავე დროს, როგორც თბილისის 26 კომისრის რაიონის საბჭოს დეპუტატი, ღირსეულად ასრულებდა ხალხის მსახურის საპატიო მოვალეობას.

ამხ. მ. ბეროიანი დაიბადა 1894 წელს თბილისში. 33 წელი კეთილსინდისიერად ემსახურება სცენას და მრავალი ამაღელვებელი სახე შეუქმნია. 1938 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება, ხოლო 1946 წელს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება.

ამხ. მ. ბეროიანი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. მ. ბეროიანი უპარტიო ბოლშევიკი, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. მ. გ. ბეროიანი რეგისტრაციაში გაატარა ქ. თბილისის 26 კომისრის № 29 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

აკაკი ილარიონის-ძე რუხაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. აკაკი ილარიონის-ძე რუხაძე დაიბადა 1905 წელს ქალაქ ხონში. 1923 წელს მოხალისედ მიდის წითელ არმიაში. წითელი არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობს სამეურნეო ხაზით, შემდეგ კი თავდაცვა-ავიაქიმის სისტემაში. 1939 წელს შევიდა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში და ხელმძღვანელობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის სამხედრო განყოფილებას.

1941 წელს ამხ. ა. რუხაძე დაინიშნა სადახლოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსად. 1943 წელს არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის მეორე მდივნად. 1944 წლის მარტიდან ამხ. რუხაძე საქართველოს კ. პ. (ბ) ადიგენის რაიკომის პირველი მდივანია.

ამხ. ა. რუხაძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ა. ი. რუხაძე რეგისტრაციაში გაატარა ადიგენის № 60 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

კარლო ვლადიმერის-ძე მორეტი

ამხ. კარლო ვლადიმერის-ძე მორეტი დაიბადა თბილისში 1899 წელს. ადრე დაიწყო შრომითი საქმიანობა, მუშაობდა მშენებლობებზე. მუშაობასთან ერთად სწავლობდა იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში. 1920 წელს შევიდა ბოლშევიკურ ორგანიზაციაში და არალეგალურ მუშაობას ეწეოდა მენშევიკების წინააღმდეგ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. კ. მორეტი სამეურნეო ხაზით მუშაობდა. 1922 წლიდან 1930 წლამდე იყო წითელ არმიაში. 1930 წლიდან 1936 წლამდე ეკავა პასუხსაგები თანამდებობანი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სტამბასა და გამომცემლობაში. 1933 წლიდან მუშაობდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მშენებლობის უფროსად. 1937 წელს დაინიშნა ტრესტ საქართველოს კურორტმშენის მმართველის ჯერ მოადგილედ, ხოლო შემდეგ მმართველად. 1938 წელს დააწინაურეს ტრესტ „თბილმშენის“ მმართველად, სადაც დღემდე მუშაობს.

1938 წელს ამხ. კ. მორეტი აირჩიეს საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ამხ. კ. მორეტი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და ორი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. კ. ვ. მორეტი რეგისტრაციაში გაატარა ქალაქ თბილისის საბურთალოს № 27 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ელენე ვასილის ასული სამადლაშვილი

ამხ. ე. სამადლაშვილი დაიბადა 1918 წელს ქ. გორში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში. საბჭოთა ხელისუფლებამ მეწაღის შვილს შესაძლებლობა მისცა მიეღო უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

ამჟამად ე. ვ. სამადლაშვილს უკვე 8 წლის პედაგოგიური სტაჟი აქვს. ის ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლის გორის ქალთა მეორე საშუალო სკოლაში. ითვლება მოწინავე პედაგოგად. აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. აგიტატორად მუშაობს და მგზნებარე, მართალი ბოლშევიკური სიტყვით რაზმავს მასებს თავდადებული შრომისათვის სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გასულ წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს ამხ. სამადლაშვილი იყო საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი და მშვენივრად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

უპარტიო ბოლშევიკი ელენე სამადლაშვილი დაჯილდოებულია მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ე. ვ. სამადლაშვილი რეგისტრაციაში გაატარა გორის რაიონის ბერიას № 43 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

გიორგი მიხეილის-ძე გორდეზიანი

ამხ. გიორგი მიხეილის-ძე გორდეზიანი დაიბადა 1907 წელს ქ. თბილისში, მუშის ოჯახში. პირველდაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა სახელოსნო სასწავლებელში. 1925 წლიდან მუშაობდა თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში მემოდელედ. 1930 წელს აირჩიეს საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარედ. 1931 წელს დაწინაურებულ იქნა ქარხნის დირექტორის მოადგილედ. 1933 წელს მას ირჩევენ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის მდივნად. 1937 წელს დაინიშნა 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორად.

1938 წლიდან ამხ. გ. გორდეზიანი მუშაობს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრად, ხოლო შემდეგ მინისტრად.

ამხ. გორდეზიანი არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით და ორი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. გ. მ. გორდეზიანი რეგისტრაციაში გაატარა ჭიათურის რაიონის ზოდის № 119 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ელენე მოსეს ასული ნატროშვილი



ამხ. ელენე მოსეს ასული ნატროშვილი თავდადებით მუშაობს საკოლმეურნეო მინდვრებზე. იგი ჯერ რგოლის ხელმძღვანელი იყო, შემდეგ ბრიგადირი. 1939 წელს სატრაქტორო სკოლაში წავიდა. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში მან, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტმა, შესცვალა ფრონტზე წასული ტრაქტორისტი. მალე ის ალაზნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ერთ-ერთი მოწინავე ტრაქტორისტი გახდა. თავისი ნაყოფიერი შრომით დიდად უწყობს ხელს მოსავლიანობის ზრდას. საწარმოო გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებს, ზოგავს საწვავ მასალას.

მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ელ. ნატროშვილის უანგარო შრომას და იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

ელენე ნატროშვილი დაიბადა 1901 წელს. 1946 წელს იგი საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში შევიდა. აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს სიღნაღის რაიონის მშრომელებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ე. მ. ნატროშვილი რეგისტრაციაში გაატარა წნორის № 96 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ვიქტორ ზაქარიას-ძე ალბოროვი

ამხ. ვ. ზ. ალბოროვი დაიბადა 1907 წელს სოფელ წნელისში (ყოფილი გორის მაზრა), გლეხის ოჯახში. 1923 წელს კომკავშირის რიგებში შევიდა. იმავე წელს წითელ არმიაში გაიწვიეს. 1931 წელს საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში მიიღეს. 1934 წელს სწავლობდა ქ. როსტოვში მუშფაკში. 1937 წელს დაამთავრა სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტი. შემდეგ მუშაობდა სამხრეთ ოსეთის მთავლიტის უფროსად. 1939 წელს არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინგორის რაიკომის მდივნად. 1940-1941 წლებში მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნად პროპაგანდის დარგში.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში ამხ. ვ. ალბოროვი ფრონტზე წავიდა და მონაწილეობდა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1945 წელს ის საქართველოს კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. ამჟამად ამხ. ალბოროვი საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანია.

ამხ. ვ. ალბოროვი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ვ. ზ. ალბოროვი რეგისტრაციაში გაატარა ზნაურის № 235 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

გიულასარ იბრაჰიმ ყზი მამედოვა

ამხ. გიულასარ იბრაჰიმ ყზი მამედოვა დაიბადა 1925 წელს ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ყიზილქილისაში. 1940 წელს შევიდა ლენინურ-სტალინური კომკავშირის რიგებში. ამჟამად მერგოლურად მუშაობს სოფელ ყიზილქილისის ბაგიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. დაუღალავი შრომით კოლმეურნეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

რგოლი, რომელსაც ამხ. გიულასარ იბრაჰიმ ყზი მამედოვა ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი მოწინავეა მთელ კოლმეურნეობაში. ამ წარმატებას იგი აღწევს იმით, რომ ზუსტად იცავს აგროწესებს, მოწესრიგებული აქვს შრომა, თავდადებული მუშაობით მაგალითს აძლევს რგოლის წევრებს.

განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა ამხ. მამედოვა დიდი სამამულო ომის დღეებში. ამიტომ დააჯილდოვეს მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. გ. მამედოვა რეგისტრაციაში გაატარა ბაშკიჩეთის რაიონის ამამლოს № 69 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ფაცია ევგენის ასული გიორგაძე

ამხ. ფაცია ევგენის ასული გიორგაძე დაიბადა 1914 წელს სოფელ ტობანიერში, ვანის რაიონში. იგი სოფელ ციხესულორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი კოლმეურნეა. 1946 წლის 10 თვეში გამოიმუშავა 234 შრომადღე. თავის გამოცდილებას მოსავლიანობის ზრდის საქმეში უზიარებს ამხანაგებს. აქტიურ მონაწილეობას იღებს კოლმეურნეობისა და სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ავტორიტეტით სარგებლობს კოლმეურნეთა შორის.

უპარტიო ბოლშევიკი, დაუზარელი მუშაკი ფ. გიორგაძე საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში გაორკეცებული ენერგიით შრომობდა და ახლაც ასევე განაგრძობს მუშაობას მეოთხე სტალინური ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

ამხ. ფ. გიორგაძე დაჯილდოებულია მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ფ. ე. გიორგაძე რეგისტრაციაში გაატარა ვანის რაიონის შუამთის № 157 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ოლღა ალექსის ასული რუხაძე

ამხ. ოლღა ალექსის ასული რუხაძე დაიბადა 1907 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1924 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. 1931 წელს სწავლობდა ჭრა-კერვის ერთწლიან კურსებზე. 1932 წლიდან მუშაობს თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში. 1941 წელს დააწინაურეს ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგის თანამდებობაზე. ამ საქმეს მშვენივრად უძღვება. პატრიოტი ქალი დაჯილდოებულია მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. რუხაძე ავტორიტეტით სარგებლობს ფაბრიკის კოლექტივში, აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში. არის ფაბრიკის წითელი ჯვრის კომიტეტის თავმჯდომარე და წითელი ჯვრის მოლოტოვის რაიკომის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ო. ა. რუხაძე რეგისტრაციაში გაატარა ქალაქ თბილისის საბჭოთა № 10 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საბჭოთა მწერლის სახელს

ამ ბოლო დროს თხზულებათა ტომებად გამოიცა რამდენიმე გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის წიგნი. მათი ავტორების უმრავლესობა სამწერლო ასპარეზზე ოქტომბრის რევოლუციის წინაპერიოდში გამოვიდა. ამ მწერლების ადრინდელი ნაწარმოებების დიდი ნაწილი დეკადენტური, ანტირეალისტური სკოლების — სიმბოლიზმისა და ექსპრესიონიზმის დაღს ატარებს. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, რომ დაბეჭდვის დროს ერთგვარი შერჩევა მოგვეხდინა მათი ნაწერებისა. ჩვენს გამომცემლობებში არსებული პრაქტიკა კი ამის საწინააღმდეგოს ადასტურებს. როგორც სჩანს, ხშირად ავტორები გულუხვად, განურჩევლად მათი იდეური შინაარსისა, სთავაზობენ ჩვენს გამომცემლობებს მასალას, ხოლო ჩვენი რედაქტორები და გამომცემლობები ასევე გულუხვობას იჩენენ და ყველაფერ ამას აწვდიან საბჭოთა მკითხველებს. ასეთი პრაქტიკა საზიანოა არა მარტო ჩვენი მკითხველისათვის, არამედ თვით ამ მწერლების ღირსებისა და სახელისთვისაც. საბჭოთა მწერალი უნდა უფრთხილდებოდეს თავის მაღალ სახელს, ხოლო სადაც ავტორს პასუხისმგებლობის გრძნობა ღალატობს, იქ რედაქტორი და გამომცემლობა უნდა იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. სამწუხაროდ, ამას ვერ ვხედავთ.

ახლახან გამოვიდა ლეო ქიაჩელის თხზულებათა პირველი ტომი.

როგორც ცნობილია, ლ. ქიაჩელი სამწერლო ასპარეზზე მეოცე საუკუნის ათიან წლებში გამოვიდა. ეს იყო რეაქციის პერიოდი, როცა მწერლობაში ფართო გასავალი ჰქონდა სიმბოლისტურ, იმპრესიონისტულ და სხვა ამგვარ იდეალისტურ მიმართულებებს. ლ. ქიაჩელი არ დარჩენილა მათი გავლენის გარეშე. ის ქართულ ლიტერატურაში შემოვიდა დეკადენტური ნოველებით. ლ. ქიაჩელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შემდეგ ხელი აიღო უცხო მოდერნისტულ ნოველებზე და კლასიკური პროზის რეალისტურ გზას დაადგა. ამ გზით შექმნა მან თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი „ტარიელ გოლუა“, „სისხლი“, „გვადი ბიგვა“ და სხვ. ჩვენი ხალხის საყვარელი და პოპულარული მწერლის სახელი ლ. ქიაჩელს სწორედ ამ რეალისტურმა ნაწარმოებებმა მოუპოვეს. მისი იმპრესიონისტულ-დეკადენტური ნოველები კი დავიწყებას მიეცა. და აი ახლა, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, აღძრულა სურვილი ეს დეკადენტური უხამსობა ხელახლა გამოეცათ.

საბჭოთა მკითხველისათვის სრულიად უცხო და მიუღებელია ის იდეები, რომლებსაც მწერალი ქადაგებს პირველ ტომში შეტანილ სიმბოლისტურ ნოველებში. ამ ნოველების ფილოსოფიური საფუძველია იდეალიზმი, მისტიციზმი, სოლიპსიზმი. ნოველების მთავარი პერსონაჟები არანორმალური ადამიანები არიან — სულით ავადმყოფნი, ზნით შეპყრობილნი, მუნჯები, დეგენერატები, განთქმული მწყევარები. საილუსტრაციოდ გავარჩიოთ რამდენიმე ნოველა.

მთავარი საკითხი, რომლის გარკვევაც მიზნად დაუსახავს მწერალს, ნოველა „შეურაცხყოფილში“ არის: „არსებობს თუ არა მოვლენა, გინდ ქვეყნიერება თავისთავად, ან როგორც გერმანელები იტყვიან an sich თუ იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია“. მწერალი წინდაწინ აფრთხილებს მკითხველს, „თუ ამას ფილოსოფიურად განსჯით, უთუოდ დაიბნევითო, მაგრამ ფილოსოფია მაინც საჭიროაო“,— და აი ამგვარი ბოდიშების შემდეგ იწყება ეს ფილოსოფიური ამბავიც. ამბავს ჰყვება ილიკო. ილიკო მოსკოვში ყოფნის დროს ერთ პატარა ხის სახლში ცხოვრობს. სახლის პატრონმა ილიკოს გვერდით ვიღაც ქალი დააყენა. მათ ოთახებს თხელი კედელი ჰყოფდა. ილიკომ პირველ საღამოსვე გაიცნო ეს ახალგაზრდა ქალი. ვაჟი დაინტერესდა ქალით.

„ჩემი უბედურება ის იყო,—ამბობს ილიკო,—რომ მეზობლის ოთახიდან თვითეული ჩამიჩუმი ისმოდა. გავლა-გამოვლა და სხვა ასეთებიც თითქოს ჩემს გვერდით ხდებოდა. ზედმიწევნით მესმოდა თუ როგორ დალია ქალმა ჩაი, შემდეგ სუფრა როგორ მიალაგ-მოალაგა, ადგა კარი გაალო და მაშინვე ისევ მიხურა. ალბად, წავიდა, გავიფიქრე...“ შემდეგ გრძელდება წარმოდგენით გადმოცემა იმისა, თუ როგორ გაალო „ჩემოდანი ქალმა და თეთრეული ამოალაგა“, როგორ დაივარცხნა თმა, როგორ გაიხადა ტანთ.— „მიუხედავად ჩვენს შორის კედლის არსებობისა, სრულიად გარკვეულად დავინახე ჩემი მეზობელი ქალი, თვალწინ გამომესახა მკვრივი ძუძუებით მორთული გაშლილი გულმკერდი, რომელზედაც შავი გრძელი თმა უხვად გადაფენოდა“. შემდეგ კვლავ „წარმოვიდგინე: ალბად ღამის პერანგს იცვამს საჩქაროდ დაწოლის წინ, მაგრამ ხელს უშლის სავსე ძუძუების შეუდრეკელი სიმკვრივე და ამას ემება მეთქი...“ და აი ეს ვნებააშლილი კაცი ერთბაშად გაჩნდა ქალის ოთახში. „ვნება რომ სტიქიური მოვლენაა და არავითარ კანონს არ ემორჩილება, ეს ყველამ იცის. მცოდნენი გვარწმუნებენ, მისთვის კლიტულებიც არ არსებობენო“. ოთახში ასეთი სურათი წარმოუდგა ვაჟს: „პირველად ლოგინს დავხედე. აუშლელი მეჩვენა, შევცდი. არ დავიჯერე და ხელი გადავუსვი ფრთხილად, ყოველ შემთხვევისათვის, რომ მძინარე ქალი არ შემეშინებინა. — დავრწმუნდი: მართალი იყო, რაც პირველად თვალმა მანიშნა. —არც ლოგინზე და არც ლოგინში ქალის ნატამალიც კი არსად იყო“. მწერალი მთელ ამ ისტორიას ასე ამთავრებს: „აი, მოვლენა თავისთავად და აი, იგივე მოვლენა როგორც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი.

მაგრამ არა ბატონებო, მე არ მინდა ამის იქით წავიდე და რაიმე უფრო ზოგადი ხასიათის დასკვნა თავს მოგახვიოთ... ეჭვიც კი არ მინდა თქვენში გაჰოვიწვიო ამდაგვარი, მაგალითად: ვაი ჩვენ, თუ ეს ცხოვრებაც და ჩვენც თავად...

არა, ამის აშკარად თქმის უფლება ჩვენს თავს არ უნდა მივსცეთ. ვიყუჩოთ სჯობია, მით უმეტეს სულ ნამდვილი სინამდვილე არავინ იცის“.

ასეთია ამ ნოველის შინაარსი. როგორც ვხედავთ, ავტორი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ყველაფერს.

საკითხავია, ზიანის მეტი რა უნდა მოიტანოს ამ სკეპტიციზმის, სოლიპსიზმის ფილოსოფიამ, რომელიც უნდობლობას უცხადებს მეცნიერების, ტექნიკის და კაცობრიობის მთელ მონაპოვარს, ეჭვი შეაქვს ადამიანის ცოდნაში, ობიექტური სამყაროს არსებობაში.

ასეთივე ფილოსოფიაა გატარებული ნოველაში „Escalade“ აქ მწერალს მოუნდომებია დაამტკიცოს, რომ „ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა სინამდვილე“. აქ ადამიანები წარმოდგენილი არიან, როგორც ნიღბები, მოჩვენებები, ცხოვრება კი გამოცხადებულია ჩვენი ფანტაზიის ნაყოფად.

სადღაც მასკარადი გაუმართავთ. ვიღაც კუდიანა ნიღბოსანი ქალი ახალგაზრდა ვაჟს აიყოლიებს. ქალი ხეზე ადის. თან მისდევს ვაჟი. ქალი უცბად ნიღაბს მოიცილებს და სულ მაღლა ტოტზე გატყორცნის. ვაჟსაც და ხალხსაც, რომელსაც მწერალი რატომღაც ბრბოს ეძახის, ნიღაბი ნამდვილი ქალი ჰგონია. შურით შეჰყურებენ მის მამაცობას. ხიდან ძირს ჩამოსული ქალი დასცინის გულუბრყვილო ხალხს. ვაჟს ეუბნება: „აი ჩემი იდეა! ხომ კარგია! შეხედე, რა ამბავია? თითქო ხეზე მართლა ვინმე იყოს!.. ხა, ხა, ხა რა სულელია ხალხი“. და შემდეგ — „ხა, ხა, ხა! მეგობარო არ გეცინება? როგორ მოგწონს ჩემი იდეა? არ გაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია! განა ასე ტყუილად არ იბრძვის კაცობრიობა?—განა ასეთ თავდავიწყებით არ აპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი და წითელ-ყვითელი მოსასხამი!“.

ასე ცინიკურად დასცინის ნოველის გმირი კაცობრიობის ბრძოლას იდეალებისათვის, ასე უშინაარსოდ და მოჩვენებად აცხადებს მთელ ჩვენს ცხოვრებას.

ნოველაში „ცოდვის შვილები“ ადამიანები, ავადმყოფურად შიშით შეპყრობილნი, ცახცახებენ „ღვთის ნებისა და ბოროტი ძალების წინაშე“. „ზნით შეპყრობილი და სულით ავადმყოფი“ ჯვებეს პაპა „ხატზე გადაუციათ“. „აღსრულდა ღვთის ნება. ჯვებეს მამას სახეზე ცხელი წყალი გადაესხა, ქონიანი, სწორედ შობა დილას. თვალები ამოუგდო. მერე დიდ ტანჯვასა და წამებაში ამოხდა სული“. ჯვებეს ძმებიდან ერთი ბავშვობისას დაგლიჯა ცოფიანმა ძაღლმა, მეორე კი, უკვე ვაჟკაცი, შემთხვევით იმსხვერპლა ხატობაში გასროლილმა ტყვიამ. ჯვებეს ერთად-ერთი და წყალში დაიხრჩო. მასაც ჯვებესავით ავი ზნე უვლიდა. შემდეგ მწერალი ამ ავი ზნით შეპყრობილ ჯვებეს შეახვედრებს ძმის მიერ ოჯახიდან გამოგდებულ ცოდვილიანს, ვიღაც განთქმულ მწყევარს ბეკოს. ბოლოს „ორივენი ეს ცოდვის შვილები“ ფატალისტურად იღუპებიან. მწერალი ამბობს: „აი ერთი მოვლენა შეუცნობელი: სოფელი დათქვამს და უთუოდ ასრულდება! სოფელი კი თურმე „დაბეჯითებით ამბობდა—შერისხული კერაა! ასე იცის ხატმაო!—აღსრულდა ღვთის ნება. ხატზე გადაცემულს რა კარგი მოუვა“.

ეს ფატალისტური აზრი განსაზღვრავს ნაწარმოების მთელ შინაარსს. გმირების მოქმედებას, მათს ბედს რაღაც შეუცნობელი ძალა განაგებს. ცხოვრება ისეა გამოხატული, რომ იგი პირდაპირ აიძულებს მკითხველს იფიქროს რაღაც არარსებულ საიდუმლოებაზე, ცხოვრების ღვთაებრივ საწყისზე და ძალაზე. საკითხავია, რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ასეთი რელიგიური ხასიათის ნაწარმოების გამოქვეყნებას დღეს?

როგორც ცნობილია, ძირითადი საფუძველი სიმბოლიზმისა არის დუალიზმი—მოძღვრება ორ სამყაროზე — მიწიერ სამყაროზე და ღვთაებრივ სამყაროზე. ეს მისტიკურ-რელიგიური ფილოსოფია განსაზღვრავს ლ. ქიაჩელის მთელი რიგი ნოველების და მათ შორის „მე და ჩემი ორი მეს“ შინაარსს. ასეთივე სიმბოლისტურ-დეკადენტური ხასიათისაა ნოველები „ჯადოსანი“, „სტეფანე“, „ბერი და ყორანი“, „იმედები“ და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ლეო ქიაჩელის ნოველები „ისკანდერი“, „მე და ჩემი ორი მე“, „რაც იყო და რაც არ იყო“. ეს ნოველები 1921-24 წლებშია დაწერილი, მაშინ, როდესაც ლეო ქიაჩელი მწერალთა უაღრესად მემარჯვენე ჯგუფში — აკადემიურ ჯგუფში შედიოდა. ჩვენთვის პირდაპირ აუხსნელია, რატომ მოისურვა მწერალმა ამ ნოველების ხელახლად დაბეჭდვა, ან როგორ დაეთანხმა მას რედაქტორი.

ამ ნოველებიდან მაგალითისათვის მხოლოდ ერთს გავარჩევთ. ნოველა „ისკანდერში“ სიკვდილის ისტორიაა მოცემული. მაგრამ ეს სიკვდილი „ჩვეულებრივ ხორციელ სიკვდილისაგან განსხვავდება“. აქ ადამიანები რაღაც „ზანზარით“ კვდებიან, ისე რომ ლაპარაკისა და მსჯელობის უნარს როდი ჰკარგავენ. აი მოკვდა ისკანდერი. გამოცხადდნენ მეგობრები მიცვალებულის ოჯახში. „სწორედ ამ დროს მოხდა სასწაული: ისკანდერმა უეცრივ ლაპარაკი დაიწყო: ძალიან საინტერესო ამბავია,—გვესმოდა მისგან. უნდა მიტიროთ თქვენი აზრით არა? აი სასაცილო ამბავი თუ გნებავთ... ნუ გეწყინებათ მართალი. ჰო, და აი რა უნდა იცოდეთ: თქვენ სათითაოდ და ყველანი ერთად მკვდრები ხართ. რა აზრი აქვს ამის დაფარვას? მაგრამ უნუგეშონი მაინც არა ხართ, ერთ დროს თქვენც მკვდრეთით აღსდგებით. მაგრამ ეს მოხდება მაშინ, როცა დედამიწის ღერძს მოწყდებით, როგორც მე, მაგალითად. სანამ კი მაგ ქვეყანაზე ხართ მიკრული, ცხოვრება არ გექნებათ. საჭიროა ან თქვენ გაეცალოთ მაგ ქვეყანას, ან ქვეყანა გაგეცალოსთ თქვენ. ჩემს შემთხვევაში ეს მოხდა ერთდაიმავე დროს ერთბაშად... ვერ წარმოიდგენთ რა ნეტარება ვიგრძენი“.

მთელი ეს მსჯელობა მთავრდება იმით, რომ ამ უცნაურად მკვდარ ადამიანს ექიმს მოუყვანენ. ექიმი დააკვირდება მკვდარს და ერთბაშად აღფრთოვანდება ახალი აღმოჩენით. „მადლობელი ვარ! უაღრესად მადლობელი ვარ! თქვენი შემთხვევა იშვიათია.—ამბობს ექიმი,—ეს დიდად ღირს ჩემთვის, დაუფასებელია არა მხოლოდ ჩემთვის, თქვენთვისაც, ბატონებო... მთელს საქართველოსთვისაც... დიახ, საქართველოსთვისაც, შემიძლია დაგარწმუნოთ...“ და ბოლოს დაასკვნის ექიმი: „მე არ ვიცი, რამდენად ჩახედული ბრძანდებით ჩვენს დროში და თვალყურს ადევნებთ ჩვენი საუკუნის ამბებს, თორემ გეტყოდით, რომ ეს მოვლენაც მაინცდამაინც გასაკვირვალი არ არის... არაფერია, ბატონებო, როცა გავრცელდება, ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა, გაკვირვებასაც არ გამოიწვევს“. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველა ესენი ასევე „ზანზარით“ და კმაყოფილების დიდი გრძნობით კვდებიან.

საკითხავია—ეს მარტო სოლიპსიზმია, თუ კიდევ სხვა...

შეიძლება სთქვან: ხშირად ხომ არის, რომ ავტორი გმირებს ალაპარაკებს, მაგრამ მათ შეხედულებებს არ იზიარებს. დიახ, არის, მაგრამ განსახილველ ნოველებში არაფერია ამის მსგავსი. ბევრგან თვითონ ავტორია ნოველების მოქმედი პირი, ზოგჯერ კი ავტორისეული რემარკებით სრულიად იზიარებს ან ეთანხმება თავისი გმირების აზრებს.

მართალია, ავტორი დღეს არ იზიარებს ამ ნოველებში გამოთქმულ სკეპტიკურ, მისტიკურ იდეებს. ეს მოდერნისტული, სიმბოლისტური პერიოდი ლეო ქიაჩელის მიერ უკვე განვლილი საფეხურია. მაგრამ როდესაც ამ შემცდარ ნაწარმოებებს ავტორი დღეს ხელმეორედ ბეჭდავს, მისთვის დღეს დამახასიათებელი რეალისტური ნოველების გვერდით, ეს უკვე ერთგვარად აბნევს მკითხველს. რა შეიძლება ჰქონდეს საერთო ჩვენს მიერ ზემოთნაჩვენები იდეოლოგიურად მავნე მისტიციზმის აპოლოგიას საბჭოთა ლიტერატურასთან და მის ამოცანებთან?

ლეო ქიაჩელი თანამედროვე ქართული პროზის გამოჩენილი წარმომადგენელია. ორიგინალური სიუჟეტური კომპოზიცია, დახვეწილი ლაპიდარული სტილი, ბუნებრივად მომდინარე თხრობა, ჩინებული ქართული ენა, მაღალი მხატვრული გემოვნება და ტაქტი, რაც დამახასიათებელია ლ. ქიაჩელის რეალისტური ნაწარმოებებისათვის, აყენებენ მას პროზის გამოჩენილ ოსტატთა რიგებში. ლ. ქიაჩელმა სამართლიანად დაიმსახურა მკითხველთა ფართო წრეში დიდი პოპულარობა, სიყვარული და გავლენა. მით უმეტეს საშიშია ამ დეკადენტური ნოველების უარყოფითი გავლენა ახალგაზრდა მკითხველებზე. ეს მომენტი უნდა გაეთვალისწინებინათ უპირველეს ყოვლისა ამ წიგნის გამომცემელთ.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა უდიდესი ისტორიული ამოცანების წინაშე დგას. ჩვენი მწერლების მოვალეობაა დაეხმარონ საბჭოთა ხალხს ამ ამოცანების გადაწყვეტაში. ყოველი მათი წიგნი უნდა უპასუხებდეს ჩვენი ხალხის სულიერ ინტერესებს, ზრდიდეს მასში მხნეობას, ვაჟკაცობას, სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადების თვისებებს, საბჭოთა ხალხისა და სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით უნდა შეხედოს მწერალმა ყოველ თავის ნაწარმოებს, გაუფრთხილდეს თავის მაღალ სახელს.

ს. ჭილაია

გაზეთი „ტრიბუნე“ „დეკარტელიზაციის“ გეგმების შესახებ გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში

„კონცერნებისათვის განზრახული დარტყმა კომედიად იქცევა“

ბერლინი, 25 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ტრიბუნემ“ მოათავსა სტატია ეგრეთწოდებული დეკარტელიზაციის (ე. ი. კონცერნების ლიკვიდაციის) გეგმების შესახებ გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში. სტატიაში ნათქვამია, რომ ერთ პრეს-კონფერენციაზე დიუსელდორფში გერმანიის ფოლადის კონცერნ „ფერაინგტე შტალვერკეს“ ყოფილმა დირექტორმა დინკელბახმა, რომელიც ახლა დანიშნულია ეგრეთწოდებული ფოლადის მრეწველობის სამეურნეო სამმართველოს თავმჯდომარედ, გამოაცხადა „დეკარტელიზაციის“ თავისი გეგმები. ჯერ, — სთქვა მან, — დამოუკიდებელი უნდა გახდეს ოთხი საწარმო, შემდეგ კი — ყველა დანარჩენი. უნდა შეიქმნას ფოლადსამახმელო ქარხნების 25-დან 30-მდე დამოუკიდებელი საზოგადოება; ეს ქარხნები კვლავ გაერთიანდებიან ერთი მთავარი ორგანიზაციად, რომლის ფუნქციებსაც წინასწარ კისრულობს სამეურნეო სამმართველო დინკელბახის სახით. აქციები, რომლებიც, როგორც დინკელბახმა სთქვა, „მტკიცე ხელში“ იმყოფება, ახლადშექმნილ საზოგადოებებს არ გადაეცემა. რაღა გამოიცვლება, — კითხულობს გაზეთი. — ამ ფართოდ რეკლამირებული „დეკარტელიზაციით“? სრულიად არაფერი. აქციები ძველ მესაკუთრეებს რჩებათ. „დეკარტელიზებული“ საწარმოები კვლავ „კარტელიზებულ“ იქნებიან მთავარ ორგანიზაციაში. აქციების მფლობელთ შეუძლიათ სთქვან: „მეფე გარდაიცვალა, გაუმარჯოს მეფეს“. დინკელბახი ჩვენი კაცია და იზრუნებს იმისათვის, რომ დაგვრჩეს ჩვენი საკუთრება“.

ეგრეთწოდებული დეკარტელიზაცია, — განაგრძობს „ტრიბუნე“, — გვეჩვენება თვით კონცერნების მანევრად, რომელთაც სურთ თავიდან აიშორონ ნამდვილი დეკარტელიზაციის შედეგები. იცვლებიან სახელგატეხილი პიროვნებანი, მაგრამ კონცერნების ბატონთა პოზიცია ძირითადად შეურყეველი რჩება. ასე რომ ერთ მშვენიერ დღეს ისინი შეძლებენ ახალი ავანტიურის დაწყებას. კონცერნებისათვის განზრახული დარტყმა კომედიად იქცევა.

შემდეგ „ტრიბუნე“ სწერს, რომ იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა წაერთვას მართლაც ხელისუფლება კონცერნთა ბატონებს, გვიჩვენა სამეურნეო რეფორმამ გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში. იქ საკომანდო თანამდებობანი მეურნეობაში კონცერნთა ბატონების ხელში კი არ არის, არამედ დემოკრატიულად არჩეული სახალხო ორგანოების კონტროლქვეშაა.

იტალიისა და იუგოსლავიის ურთიერთობისათვის

რომი, 24 იანვარი. (საკდესი). იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა ნენიმ 23 იანვარს მიიღო იუგოსლავიის წარმომადგენელი იტალიის საკითხთა საკონსულტაციო საბჭოში სმოდლაკი, რომელმაც აცნობა, რომ იუგოსლავიის მთავრობამ გადასწყვიტა შეჰქმნას იუგოსლავიის სახალხო ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური წარმომადგენლობა იტალიის რესპუბლიკის მთავრობასთან. საგარეო საქმეთა მინისტრმა ცნობად მიიღო სმოდლაკის განცხადება და სთხოვა მას გადასცეს ბელგრადის მთავრობას იტალიის მთავრობის კმაყოფილება ამ აქტის გამო, რომლის მეოხებითაც ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდება. მთავრობის კრიზისის დამთავრების შემდეგ იტალიის მთავრობა, ჩვეულებრივი წესის თანახმად, თავის მხრივაც იზრუნებს იუგოსლავიის მთავრობასთან თავისი პოლიტიკური წარმომადგენლის დასანიშნავად.

ქალაქ პოლის მუშათა ჯგუფის გასამართლება

ბელგრადი, 22 იანვარი. (საკდესი). საოკუპაციო ხელისუფალთა სამხედრო სასამართლოში, სადაც ასამართლებდნენ მუშათა დიდ ჯგუფს, რომლებიც დააპატიმრეს ქალაქ პოლაში სამოქალაქო პოლიციის მიერ წისქვილ „სანსის“ მუშების დარბევის დროს, დაჰკითხეს ბრალდებულები—მუშა ქალები ეფიმია ჯეოვის და სტეფანია ვლასის.

ბრალდებულმა ვლასმა სასამართლოს განუცხადა: „ჩვენ ვიცავდით ჩვენს მანქანებს, ჩვენს პურს; ამით არავითარი დანაშაული არ ჩაგვიდენია. დანაშაულობა ჩაიდინა სამოქალაქო პოლიციამ, რომელმაც უიარაღო ხალხს სროლა აუტეხა. ჩვენ იმისთვის გვასამართლებენ, რომ ვიცავდით ჩვენს ქონებას, ხოლო მკვლელები თავისუფლად დასეირნობენ ქალაქში ან ამ სასამართლოში მოწმეებად გამოდიან იმათ წინააღმდეგ, ვისაც ისინი ესროდნენ“.

დამცველის გამოსვლის შემდეგ სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი. მსჯავრდადებული არიან ოთხი მუშა მამაკაცი და ორი მუშა ქალი, რომლებიც 3 იანვარს დააპატიმრეს წისქვილ „სანსიდან“ მოწყობილობის გატანის დროს. მუშა ივანე ბლაშიგს მიუსაჯეს ორი წლის პატიმრობა, მუშა პილან ანტონიოს—ორწლინახევრისა, მუშებს კარლო რავიოსს და იოსიპ რადეს და მუშა ქალებს სტეფანია ვლასს და ეფიმია ჯეოვეს ერთი წლის პატიმრობა თვითეულს.

ბელგრადის გაზეთები კომენტარს უკეთებენ სასამართლოს განაჩენს და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამრიგად სრულიად უდანაშაულო მუშები დასჯილი არიან, ხოლო სისხლისღვრის ნამდვილი დამნაშავენი თავისუფლად დაიარებიან და კვლავ ტერორის ქვეშ აყენებენ ქალაქ პოლის ანტიფაშისტურ მოსახლეობას.

ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნა საბერძნეთში

ლონდონი, 24 იანვარი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მეფემ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრად დანიშნა დემეტრიოს მაქსიმოსი. ახალი პრემიერ-მინისტრი მონარქისტული „სახალხო პარტიის“ წევრია. მაქსიმოსს საუბარი ჰქონდა იმ პირებთან, რომლების დანიშვნაც ნავარაუდევია ახალი მთავრობის შემადგენლობაში. ფიქრობენ, რომ იგი, როგორც პრემიერ-მინისტრი, მეფის წინაშე ფიცს დასდებს მას შემდეგ, რაც მეფე მიიღებს ცალდარისის გადადგომას.

საბერძნეთის მთავრობის ახალი შემადგენლობა

ლონდონი, 24 იანვარი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საბერძნეთის ახლად შედგენილი მთავრობის შემადგენლობაში არიან პრემიერ-მინისტრი — დემეტრიოს მაქსიმოსი; ვიცე-პრემიერი — კონსტანტინე ცალდარისი, მანვე დაიკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი; ვიცე-პრემიერი და სამხედრო მინისტრი — სოფოკლეს ვენიზელოსი. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ მხოლოდ მონარქისტული „სახალხო პარტიის“ წარმომადგენლები და პარლამენტის მონარქისტული ოპოზიციის ლიდერები.

გაფიცვა საბერძნეთში

ათენი, 22 იანვარი. (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). მთელ საბერძნეთში დილიდან დაიწყო ყველა სახელმწიფო მოსამსახურეთა გაფიცვა. გაფიცულნი ხელფასის გადიდებას მოითხოვენ.

იაპონიის პროფკავშირული ორგანიზაციების გადაწყვეტილება

ტოკიო, 23 იანვარი. (საკდესი). როგორც ძიძი ცუსინის სააგენტო იუწყება, 20 იანვარს 100 დელეგატის ერთობლივ თათბირზე, რომლებიც წარმოადგენენ ამას წინათ დაარსებულ სრულიად იაპონიის გაერთიანებულ პროფკავშირულ ბრძოლის კომიტეტს და მთავრობის საწინააღმდეგო პროფკავშირულ კომიტეტს, გადაწყდა შეტანილიყო სოციალისტური და კომუნისტური პარტიებისადმი ფორმალური წინადადება იმის შესახებ, რომ მათ ითანამშრომლონ ახლანდელ ორგანიზებულ მუშათა მოძრაობაში, რომელიც მიმართულია იოსიდას კაბინეტის დასამხობად. გადაწყდა აგრეთვე 28 იანვარს მასობრივი მიტინგების მოწყობა მთელ იაპონიაში. ამ მასობრივ მიტინგებს დაერქმევა სახალხო მიტინგები და ისინი ჩატარდება იოსიდას კაბინეტის დამხობისა და კრიზისის დაძლევის ლოზუნგებით.

ლონდონი, 23 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, იაპონიის პროფკავშირებმა განცხადება გამოაქვეყნეს, რომელშიც ისინი აღნიშნავენ, რომ იოსიდას კაბინეტს პასუხისმგებლობა ეკისრება იაპონიის საწარმოო პროფკავშირთა თავმჯდომარე კიკუნამიზე 20 იანვარს მომხდარი თავდასხმისათვის.

სანამ ორი თავდამსხმელი კიკუნამის დასჭრიდნენ, მათ, როგორც კიკუნამი ამბობს, წინადადება მისცეს მას გაეუქმებინა 1 თებერვლისათვის დანიშნული გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობისა და საზოგადოებრივი დაწესებულებების 2,5 მილიონზე მეტმა მუშაკმა.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

27 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. ტატიშვილისა და დოცენტ მელქაძის კონსულტაცია პოლიტიკურ ეკონომიაში.

27 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ამხანაგ ვ. ი. ლენინის ნაშრომი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ — ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები“.**

სემინარს ქართულ ენაზე ჩაატარებს ამხ. **ბიწაძე**, რუსულ ენაზე — დოცენტი **მახარაძე.**

28 იანვარს, დილის 9 საათზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება სემინარული მეცადინეობის შესავალი ლექცია თემაზე: **„ამხანაგ სტალინის ნაშრომი „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“.**

ლექციას წაიკითხავს ამხ. **ლ. გეგეშიძე.**

სემინარი

27 იანვარს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„დეპუტატობის კანდიდატის სასარგებლო აგიტაცია საარჩევნო უბანში“.**

სემინარს ქართულ ენაზე ჩაატარებს ამხ. **მირიანაშვილი**, რუსულ ენაზე ამხ. **ნოლიანინი.**

ლექცია

27 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ლენინის რაისაბჭოს კულტსაგანმანათლებლო განყოფილება პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქუჩა, № 128) აწყობს დოცენტ **ი. მელქაძის** საჯარო ლექციას ქართულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა სახელმწიფო, მისი ძალისა და ძლიერების წყაროები“.**

ლექციის შემდეგ კინო-სურათი. შესვლა თავისუფალია.

მარშალს განზრახვა აქვს დაესწროს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირს

ვაშინგტონი, 24 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ სახელმწიფო მდივანი მარშალი დაესწრება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვის თათბირს.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებაში ნათქვამია: „სახელმწიფო მდივანს მარშალს განზრახვა აქვს განახორციელოს ბირნსის მიერ დასახული გეგმები მოსკოვის თათბირში მონაწილეობის შესახებ“.

საწარმოო ტრავმატიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 25 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ, წინასწარი ცნობებით, 1946 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებაში ორ მილიონ 63 ათასი მუშის მიერ მიღებული ტრავმის შედეგად შრომის უნარიანობა 1945 წელთან შედარებით 2 პროცენტით შემცირდა. მუშათა აღნიშნული რაოდენობიდან 16.500 გარდაიცვალა და 94.900 კაცმა განუკურნებელი ტრავმა მიიღო. დაშავების ყველაზე მეტი რაოდენობა აღინიშნება დამამუშავებელ მრეწველობაში. წარმოებაში მიღებული ტრავმის გამო სიკვდილიანობა დამამუშავებელ მრეწველობაში 2.500 შემთხვევას შეადგენს. სოფლის მეურნეობაში უბედურ შემთხვევათა შედეგად 4.500 კაცი დაიღუპა. სამუშაო დროის დაკარგვა ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის ყველა დარგში უბედურ შემთხვევათა გამო 1946 წელს 156 ათასი მუშის ერთ სამუშაო წელს შეადგენს.

საგაფიცვო მოძრაობა ინგლისში

ლონდონი, 25 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, „იტალიური გაფიცვის“ შედეგად, რომელშიც მონაწილეობას იღებს ათასზე მეტი მტვირთავი, სმითფილდის ბაზარზე რომ ხორცის გადმოტვირთვაზე მუშაობს, ლონდონში ხორცის მიწოდება შესწყდა.

სასურსათო სამინისტროს 23 იანვარს გამოქვეყნებულ განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული დედაქალაქისათვის სასურსათო მარაგის შემცირების საფრთხე.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ნანკინი, 25 იანვარი. (საკდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტომ გაავრცელა გაზეთ „ჯუნთანქიბაოს“ ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ 19 იანვარს ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ში-ძემ ოფიციალურად აცნობა საფრანგეთის ელჩს ჩინეთში ჟაკ მეირიეს, რომ სუვერენიტეტი პარასელის კუნძულებზე (კუნძულების ჯგუფი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში) ჩინეთს ეკუთვნისო. ცნობაში ნათქვამია, რომ „გარდა იმისა, რომ ელჩს ეცნობა ჩინეთის სუვერენიტეტის შესახებ კუნძულებზე, ვან ში-ძემ შეკითხვა მისცა საფრანგეთის ფლოტის მიერ ამ კუნძულების დაკავების ცდის ნამდვილი მოტივების შესახებ“.

ცნობის თანახმად, საფრანგეთის ელჩმა მეირიემ „თავის პასუხში განაცხადა, რომ საფრანგეთის ფლოტის მიერ გადადგმული ნაბიჯი საფრანგეთის მთავრობის ბრძანებით არ მომხდარა“.

ინდოეთის დამფუძნებელ კრებაში

დელი, 23 იანვარი. (საკდესი). 22 იანვარს ინდოეთის დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო ნერუს რეზოლუცია იმის შესახებ, რომ ინდოეთის ახალი კონსტიტუცია დამოუკიდებელი და სუვერენული რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა იყოს.

ტრამვაის მუშებისა და მოსამსახურეების გაფიცვა კალკუტაში

დელი, 25 იანვარი. (საკდესი). 21 იანვრიდან კალკუტაში სწარმოებს საყოველთაო გაფიცვა ტრამვაის მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას და ერთდროული დახმარების მიცემას.

სხვა პროფკავშირების წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ მხარს უჭერენ გაფიცულთ.

კომუნისტების დაპატიმრება ბირმაში

ლონდონი, 25 იანვარი. (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ 24 იანვარს რანგუნში (ბირმის დედაქალაქი) პოლიციამ კომუნისტების ჩხრეკა მოაწყო და 26 კაცი დააპატიმრა. ჩხრეკა მოხდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ აკრძალეს კომუნისტური პარტია და მისი მონათესავე ორგანიზაციები.

თეატრებში

26 იანვარს: სახელმწიფო ოპერა — „გედის ტბა“; **რუსთაველის სახელობის** — „მეზღვაურები“; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ემთაბერის ასული“; **გრიბოედოვის სახელობის** — „შავი ფული“; **მუსიკალური კომედიის** — „აზნაურები“; **ხანკულტურის** — „ასეც იქნება“.

კინოებში

26 იანვარს: რუსთაველის სახელობის — „მარტოდ მოსჩანს თეთრად იალქანი“; **დამკვრელი** — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“; **კომკავშირელი** — „ეს მოხდა დონბასში“; **სპარტაკი** — „მოუსვენარი მეურნეობა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს მონადირეთა კავშირის **„მონკავშირის“** გამგეობა აცხადებს **მონადირეთა საყურადღებოდ,** რომ საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე დაიწყო მონადირეთა 1947 წლის სავალდებულო რეგისტრაცია.

რეგისტრაცია სწარმოებს: თბილისში—„მონკავშირის“ გამგეობაში (საბა-სულხანის ქ. № 2), აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის მონადირეთა კავშირების და ყველა რაიონულ მონადირეთა ამხანაგობების გამგეობებში.

რეგისტრაციის უკანასკნელი ვადაა 1947 წლის 31 მარტი.

„მონკავშირის“ გამგეობა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის თბილისის საქალაქო განყოფილება აუწყებს ქალაქ თბილისის საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე მოქალაქეთ, რომ დასათბობ ხელსაწყოთა რემონტისა და კვამლის მილების გაწმენდის საკითხები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის თბილისის საქალაქო განყოფილებას არ ეხება.

ამ საკითხზე უნდა მიმართონ საბინაო მეურნეობის სამმართველოს მილ-ღუმელის სამშენებლო ტრესტს.

მოქალაქე **ჯემალ ივანეს-ძე გოკიელმა,** მცხოვრებმა ნაფარეულის ქ. № 16, აღძრა საქმე კავშირის ქ. № 6 მცხოვრებ მოქალაქე **მარინე ალექსანდრეს ასულ ნათიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ნინო, შვილები აკაკი, იური, ოთარი ოჯახებით იუწყებიან **აფრასიონ სამსონის-ძე კობახიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27/1, 6 ს. გამოსვენება 28/1, 3 ს. ჩელუსკინელთა, 22.

მეუღლე ანასტასია, შვილები მიხო, ირაკლი, არჩილ, მაყვალა ოჯახებით იუწყებიან **სოფრომ ივანეს-ძე ზედგენიძის** გარდაცვალებას.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00021